

"დემოკრატიზაციის" კიდევ ერთი ვადა
A3



ვლადიმერ არუთინიანი სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს
A5



ტაქტიკური მენეჯმენტის პოლიტიკური ფსიქოლოგია
A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    შაბათი, 6 დეკემბერი, 2005 წელი. №270 (1130)    ფასი 50 თეთრი



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

## ამბები

### ფინანსთა სამინისტროს პარლამენტის მითითება ჯერ არ შეუსრულებია

ერთი თვის წინათ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2006 წლის ბიუჯეტი დაუწუნა და ურჩია, დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მოთხოვნა გაეთვალისწინებინა. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის ბიუჯეტში ჯერჯერობით არაფერი შეუცვლია.

A2

## ამბები

### იმერეთის გუბერნატორის თანამდებობა ისევ ვაკანტურია

იმერეთის გუბერნატორებს ბედი ნამდვილად არ სწყალობთ. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამ პოსტზე მყოფი ყველა პირი გუბერნატორის კარიერას უსამოვნო ფაქტის გამო ასრულებს. იმერეთის ექსგუბერნატორების სიას კიდევ ერთი რწმუნებულის სახელი და გვარი შეემატება.

A2

## ამინდი

| | 6/12 | 7/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 15 |
| ტყიბული | 17 | 19 |
| სოხუმი | 15 | 19 |
| დმანისი | 10 | 11 |
| გორი | 13 | 13 |
| ონი | 10 | 11 |
| ზუგდიდი | 18 | 21 |
| ახმეტა | 17 | 14 |
| გაგრა | 16 | 19 |
| სამტრედია | 18 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.0993 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1048 |
| რუბლი | 0.0619 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რეკლამა | A 8 |

# ასლან აბაშიძე ძებნილად გამოცხადდა

სოფიკო ჩხაიძე

*პატიოსანი სიტყვის შესრულება თუ კანონის მოთხოვნისადმი დამორჩილება - ალტერნატივა, რომლის წინაშეც საქართველოს ხელისუფლება დადგა, გადაწყდა - აჭარის ყოფილ მეთაურზე დაპატიმრების სანქცია გაიცა და იგი ძებნილად გამოცხადდა.*



ასლან აბაშიძეს, როგორც უარყოფით ფაქტორს, თავის სასარგებლოდ ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლება მეტად ეფექტურად იყენებდა - საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის არსებობდა პროკურატურის თაროებზე შემოდებული

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჰკა მაგასაო... და ოპოზიციის "პენსიონერა"

გიორგი ასანიშვილი

"ჩვენი დროის გმირების" პოლიტიკურ გალერეას მალე, ალბათ, ახალი წევრები შეემატებიან. ყოველ შემთხვევაში, იმერეთის გუბერნატორმა აკაკი ბობოხიძემ ამისთვის საჭირო "ნორმატივი უკვე შეასრულა": ადამიანი "შემოელახა", რასაც ბოდიშის მოხდის მაგვარი ფრაზები მიაყოლა. 2 დეკემბერს ტელეკომპანია "რიონში" მომხდარ ძალადობას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდანაც ჩვეული რეაქცია მოჰყვა - ბობოხიძე კი არ გაკიცხეს, არამედ ურჩიეს, გადადგომას ნუ ჩქარობ, ერთი კვირა კიდევ იფიქრეო.

უცნაური რეალობაა: ჩინოვნიკმა ჟურნალისტს სცემა, მაგრამ წამებულის მანტია მაინც მას ერგო. მისი მხრიდან ზედმეტი მსხვერპლის გაღებად ჩათვალეს ის, რომ "ვილაცის" ცემისთვის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა და ამით თავისი პოლიტიკური კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

გაგრძელება A3 გვერდზე



იური მეჩითოვის ფოტო

ვითარების დაძაბვასთან ერთად პარლამენტის კიბეებზე უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა უწყინარი საუბარი შეიძლება მტკივნეულად დასრულდეს.

# დღეს მოსამართლეებს ვერდიქტს გამოუტანენ

*ყველაზე სამართლიანი მოსამართლეების სახელით ცნობილი, უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლის - მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძისა და დავით სულაქველიძის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინარული დევნის საკითხს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღეს განიხილავს. მოსამართლეებს, რომლებიც ყველაზე უკომპრომისო მოსამართლეების სტატუსით სარგებლობენ, დღეს ვერდიქტს გამოუტანენ.*

ორი კვირის წინ გადადებული საქმის განხილვა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გუშინ განაახლა - მოსამართლეების მხარდასაჭერად გამოსული გულშემატკივრების მონიტორინგის ქვეშ, სიმბოლურად დანთებული სანთლებითა და ლოზუნგით "სასამართლოს გადასარჩენად".

გაგრძელება A5 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

მოსამართლეების მხარდასაჭერად გამართული აქცია.

# SOS!

## კახეთის დამოუკიდებელი მედია საფრთხის წინაშეა

*ბოლო ერთი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში მოქმედ ჟურნალისტებზე არაერთი ფიზიკური და სიტყვიერი ზეწოლა განხორციელდა, მაგრამ სამართალდამცველებს დღემდე არც ერთი ფაქტი არ გამოუძიებიათ. სწორედ ამის გამო, გუშინ კახეთში გამომავალმა მედიასაშუალებებმა პრეს-აქცია სახელწოდებით - "გაზეთი ტექსტის გარეშე" გამართეს, რომელსაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისიც უჭერდა მხარს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ბოლო ასეთი შემთხვევა კახეთის რეგიონში გიორგობის ღამეს მოხდა, როცა გაზეთ "იმედის" მთავარ რედაქტორს, მისივე განცახდებით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა უკვე მეორედ შეუგდეს, მანამდე კი მას ფიზიკურად გაუსწორდნენ და ოფისი დაურბიეს.

აღსანიშნავია, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა პირველად რეგიონულ გაზეთ "ობიექტივის" რედაქტორზე ზურაბ ქაჩლიშვილზე განხორციელდა და გელა მთივლიშვილის მსგავსად, როგორც მედიის წარმომადგენლები აცხადებენ, გამოძიება ამ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობს. სწორედ რეგიონში ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმების გამო კახეთში გამომავალმა გაზეთებმა "სპექტრმა" და "კახეთის ხმამ" პრეს-აქცია გამართეს სახელწოდებით "გაზეთი ტქსტის გარეშე". თექვსმეტ გვერდიან გამოცემებში მხოლოდ ერთი ფრაზა ეწერა "SOS! - კახეთის დამოუკიდებელი მედია საფრთხის წინაშე დგას". გაზეთები ჯიხურებში და ქუჩებში რედაქციის თანამშრომლებმა უფასოდ გაავრცელეს, შემდეგ კი სპეციალური მიმართვა შემუშავდა, რომელიც საქართველოში მოქმედ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციებს გაეგზავნათ. **"ზემოთ აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, გაზეთები "კახეთის ხმა" და "სპექტრი" ვიწყებთ ერთობლივ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მედიასაშუალებას. ჟურნალისტთა საგამოძიებო ჯგუფი მოითხოვს ყველა ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც აღნიშნულ ფაქტებს უკავშირდება.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნაცემი ოპოზიცია საქმის გამოძიებას მოითხოვს

*ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებსა და პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის შეხვედრა გუშინ დახურულ კარს მიღმა თითქმის ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ოპოზიციის მოთხოვნით, თბილისის საკრებულოში 2 დეკემბერს მომხდარი ჩხუბის ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს.*

თამარ დვალი

უკვე რამდენიმე დღეა, რაც საპრეზიდენტო უმრავლესობა და ოპოზიცია საკრებულოში მომხდარ ჩხუბთან დაკავშირებით პრესკონფერენციებს მართავს.

შეგახსენებთ, რომ 2 დეკემბერს, მაშინ, როდესაც საკრებულოს 2006 წლის ბიუჯეტი და ქალაქის მთავრობა უნდა დაემტკიცებინა, ჩხუბი "ლეიბორისტ" სოსო შატბერაშვილსა და უმრავლესობის წევრ გიორგი ტაბიძეს შორის დაიწყო. მალევე ჩხუბში პარლამენტის წევრები, საკრებულოს დეპუტატები და უცხო პირები ჩაერთვნენ. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს საკრებულოში შეღწევა თავად ჟურნალისტებისთვისაც კი დიდ პრობლემას წარმოადგენდა, რადგანაც საშვთა ბიურო დახურული იყო.

ჟურნალისტების კითხვაზე, თუ როგორ აღმოჩნდნენ სრულიად უცხო ადამიანები საკრებულოს დარბაზში, რომლებიც ოპოზიციის წამომადგენლებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა ასეთი პასუხი გასცა: **"თქვენი საქმე არ არის, ვისზე დავუშვებთ საშვს და, თუ ჭკვიანად არ იქნებით, ჯერ ყურებით გაგსვამთ გარეთ და შემდეგ საერთოდ აღარ შემოგიშვებთ საკრებულოში."**

უმრავლესობის მიერ საკრებულოში მოყვანილი ადამიანები მანამდე იმყოფებოდნენ სხდომათა დარბაზის გვერდით მდებარე ოთახში, სანამ საკრებულომ ბიუჯეტის დამტკიცება არ შეძლო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მეთევზეთა გასაჭირი

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

"ქართულ ტერიტორიულ წყლებში 200 ათას ტონამდე ქაფშიის მარაგია," - ირწმუნებიან შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. მიუხედავად ბუნებით მომადლებული ამ სიმდიდრისა, ქართველ თევზმომპოვებლებს პრობლემები წლიდან წლამდე გადაუჭრელი რჩებათ. მეტიც, სულ უფრო რეალური ხდება რეწვის სეზონის საერთოდ ჩავარდნის საფრთხე.

ქართველმა მეთევზეებმა ყველა შესაბამის ინსტანციას მიმართეს. უშედეგო აღმოჩნდა სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული აქცია და ფოთში ვიზიტისას პრეზიდენტ სააკაშვილთან პირისპირ შეხვედრაც. ყოველ შემთხვევაში, კონკრეტულ რეაგირებას მეთევზეებამდე ჯერ არ მიუღწევია. **"15 წლის მანძილზე ნგრევის მეტი არაფერი ყოფილა, მაგრამ მეთევზეებმა ფლოტის გადარჩენა შეძლეს. არავინ დაინტერესებულა, როგორ და რანაირად. სეზონი დღევანდლამდე, ფაქტობრივად, ჩავარდნილია. თუ რაიმე არ შეიცვალა, მომავალ წელს ეს გემები ან მიზერულ ფასად გაიყიდება, ან ჯართად ჩაბარდება. სეინერის უმოქმედოდ დგომა და ვალებითა და საბანკო კრედიტით შენახვა შეუძლებელია,"** - ამბობს დარგის სპეციალისტი **მამუკა შურღაია.**

წლევანდელმა სიახლემ - ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებამ - ქართველი მეთევზეების პროტესტი გამოიწვია. აუქციონის პირობები ორჯერ შეიცვალა. ბოლო ვერსიით, თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან ფიზიკური პირების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მცურავი საშუალებებით.

გაგრძელება A2 გვერდზე

## იმერეთის გუბერნატორის თანამდებობა ისევ ვაკანტურია

*იმერეთის გუბერნატორებს ბედი ნამდვილად არ სწყალობთ. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამ პოსტზე მყოფი ყველა პირი გუბერნატორის კარიერას უსამოვნო ფაქტის გამო ასრულებს. იმერეთის ექსგუბერნატორების სიას კიდევ ერთი რწმუნებულის სახელი და გვარი შეემატება. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თხოვნის მიუხედავად, გუბერნატორი იმერეთის რეგიონში აკაკი ბობოხიძე თანამდებობაზე დარჩენას არ აპირებს.*

ნათია მსხილაძე

აკაკი ბობოხიძეს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგაც არ შეუცვლია. ბობოხიძის თქმით, მას პრეზიდენტმა თანამდებობაზე დარჩენა სთხოვა. **"მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ ჩემს მიმართ გამოხატეს. პრეზიდენტმა მოსაფიქრებლად ერთი კვირის ვადა მომცა, მაგრამ მე ამ თანამდებობაზე დარჩენას არ ვაპირებ,"** - განაცხადა ბობოხიძემ.

როგორც ბობოხიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, იგი გადადგომის გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს და მოღვაწეობას იმერეთში, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის რანგში გააგრძელებს. **"დღესვე ამ განცხადებას იმიტომ ვაკეთებ, რომ უკან დასახევი გზა მოვჭრა. ჩემი ამ გადაწყვეტილების მთავარი მომენტი ის არის, რომ ვერავის მივცემ იმის პირობას, მომავალშიც ისე არ მოვიქცევი, როგორც მაშინ მოვიქეცი,"** - აცხადებს ბობოხიძე.

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ჯერ არ გადაუწყვეტია, იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ვაკანტურ პოსტს ვინ დაიკავებს. **"გუბერნატორის ახალ კანდიდატურასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს და გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში იქნება მიღებული,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა. სააკაშვილის თქმით, ბობოხიძე ღირსეული ადამიანია და მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ჟურნალისტთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ თანამდებობა დატოვა.

რაც შეეხება აკაკი ბობოხიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ იგი მუშაობას "ნაციონალური მოძრაობის" იმერეთის რეგიონულ ოფისში გაარძელებს, ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმაც აღნიშნა.

## მეტალურგიული კომბინატის ნაწილი აუქციონის წესით მეორედ გაიყიდება

მეტალურგიული კომბინატის ნაწილი, კირისა და დოლომიტის საამქრო 8 დეკემბერს აუქციონის წესით მეორედ გაიყიდება.

საწარმოს გაკოტრების მმართველის მალხაზ ალბორიშვილის განცხადებით, დაინტერესებული ორგანიზაციებიდან მასთან განაცხადი არ შესულა და არც კონსულტაციებისთვის მიუმართავს ვინმეს.

კირისა და დოლომიტის საამქრო პირველად 12 ოქტომბერს გაიტანეს აუქციონზე. იგი 6 მილიონად ქართულმა შპს "თედ-ოილმა" შეიძინა. მოგვიანებით, კომპანიის წარმომადგენლებმა თანხის გადახდასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაცხადეს. ბეს სახით გადახდილი 100 ათასი დოლარი მათ უკან არ დაუბრუნდათ და გამოცხადდა ხელახალი აუქციონი.

მალხაზ ალბორიშვილი აცხადებს, რომ საამქროს საწყისი ღირებულება ისევ 1 მილიონი დოლარია, მაგრამ გაიზარდა წინასწარ შესატანი თანხა. მისივე თქმით, **"არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, წინასწარ შესატანი თანხა 100 ათასიდან 500 ათას დოლარამდე გაიზარდა. ვფიქრობ, ეს პირობა გამორიცხავს შემდგომ გაუგებრობებს. ვინც განაცხადს შემოიტანს, ის აღებულ ვალდებულებებსაც შეასრულებს."**

საწარმოში გაკეთებული პროგნოზით, კირისა და დოლომიტის საამქროს კომბინატის ძირითადი ქონების მფლობელი, ჰონ კონგში რეგისტრირებული კომპანიის "აზიის გლობალური შესაძლებლობების ფონდის" ქართველი შვილობილი, შპს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" შეიძენს. იგი წინა აუქციონზეც აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ საამქრო "თედ-ოილს" დაუთმო.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ეროვნული ბანკის ახალი ინიციატივა

"კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკის არც ერთ აქციონერს ან ერთობლივად მოქმედ აქციონერთა ჯგუფს არ აქვს უფლება, ფლობდეს ან განკარგავდეს წილის იმ ოდენობას, რომელიც კომერციული ბანკის გაცხადებული თუ განაღდებული საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 25 პროცენტს აღემატება. ეროვნული ბანკი გამონაკლისს უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს საბანკო ლიცენზია აქვს. ხმის უფლების გარეშე აქციების ფლობა არასაბანკო პირებისათვის შეზღუდული არ არის. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის შეფასებით, "საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული ზღვრული ნორმის გაუქმებას აპირებს, რაც საქართველოში საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება." გარდა ამისა, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, კომერციული ბანკის ლიკვიდაციის დროს ფიზიკურ პირთა ანაბრების გასტუმრება ხდება დაუბეგრავი მინიმუმის (რაც ძველი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, 9 ლარს შეადგენდა) ასმაგი ოდენობის ფარგლებში. საქართველოს ეროვნული ბანკის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესში ანაზღაურდება ფიზიკურ პირთა ანაბრები არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობისა. "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებულია ერთი პუნქტის დამატება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მოქალაქე ვალუტის გადაცვლისას პირადობის დამადასტურებელ საბუთს ვალუტის გადამცვლელ პუნქტში იმ შემთხვევაში წარადგენს, თუ გარიგების მოცულობა 6000 ლარს აღემატება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## SOS! კახეთის დამოუკიდებელი მედია საფრთხის წინაშეა

პირველი გვერდიდან

**ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდებს, ითანამშრომლონ მედია ჯგუფთან სიმართლის დასადგენად, რათა საბოლოოდ გაირკვეს, ვის ინტერესებში შედის დამოუკიდებელი მედიის მიმართ განხორციელებული ზეწოლა,"** - აღნიშნულია მიმართვაში.

თავად სამართალდამცველები კი აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და საზოგადოებისთვის სიმართლე სულ მალე გახდება ცნობილი. **"შეშფოთებული ვარ იმ ფაქტებით, რაც გაზეთ "იმედის" რედაქტორის ირგვლივ ხდება. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ ვერ გეტყვით, რას უკავშირდება ინციდენტები - პირადულ თუ სამსახურეობრივ საქმიანობას, თუმცა ჩვენ ვერსიები გვაქვს. რაც შეეხება გაზეთ "ობიექტივის" რედაქტორის ზურაბ ქაჩლიშვილის ცემის ფაქტს, ეს საქმე შეჩერებულია, რადგან იგი სასწავლებლად საზღვარგარეთ იმყოფება,"** - აცხადებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე.

ჟურნალისტთა საგამოძიებო ჯგუფში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისიც ჩაერთო.



*საპროტესტო აქცია კახეთში.*

## ნაცემი ოპოზიცია საქმის გამოძიებას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

გუშინ ოპოზიციამ ნინო ბურჯანაძეს საკრებულოში მომხდარი დაპირისპირების ამსახველი ვიდეომასალა გადასცა, სადაც ჩხუბში მონაწილე იმ ადამიანების სახეები ჩანს, რომლებიც არც ოპოზიციას და არც უმრავლესობას არ მიეკუთვნებიან. აგრეთვე, დაასახელა ყველა იმ პირის გვარი, რომლებმაც ოპოზიციაზე განხორციელებულ ფიზიკურ ანგარიშსწორებაში მონაწილეობა მიიღეს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ის გენერალურ პროკურორს დაუკავშირდება და აღნიშნული ინციდენტის გამოძიებას მოითხოვს.

**"ძალადობა ნებისმიერი მხრიდან, უმრავლესობიდან თუ ოპოზიციიდან, ჩემთვის მიუღებელია. ამიტომ მე ვითხოვ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს,"** - განმარტავს ბურჯანაძე.

ახალი საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები მხოლოდ საქმის გამოძიებით არ კმაყოფილდებიან და ისინი პარლამენტარ ბიძინა ბრეგაძის პასუხისგებაში მიცემასაც მოითხოვენ.

როგორც ფრაქციის წევრები აცხადებენ, ხელისუფლება განაგრძობს ოპოზიციური აზრისა და ოპოზიციური ძალების მიმართ ტერორის განხორციელებას და ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლას, რაც მათთვის დაუშვებელია.

## ფინანსთა სამინისტროს პარლამენტის მითითება ჯერ არ შეუსრულებია

*ერთი თვის წინათ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2006 წლის ბიუჯეტი დაუწუნა და ურჩია, დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მოთხოვნა გაეთვალისწინებინა. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის ბიუჯეტში ჯერჯერობით არაფერი შეუცვლია.*

ნანა ქადაგიშვილი

ფინანსთა სამინისტრომ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის ბიუჯეტი 31 მილიონი ლარით განსაზღვრა, დეპარტამენტის ხელმძღვანელობა კი 70 მილიონს ითხოვს. როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე აცხადებს, ეს თანხა საზღვრის დაცვის სისტემის ძირეული რეფორმის განსახორციელებლად არის საჭირო. დეპარტამენტის შემადგენლობის 3 500 ადამიანით შემცირება და დარჩენილების ხელფასების გაზრდა, პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება, საზღვრებისა და მესაზღვრეების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, სანაპირო დაცვის სამსახურის გაძლიერება და მესაზღვრეთა საკონტრაქტო წესით აყვანა - დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გათვლებით, ეს ყველაფერი სახელმწიფო ბიუჯეტს 70 მილიონი დაუჯდება.

**"მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 1998 წლიდან დღემდე, ჩვენი საზღვრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვაზე 127 მილიონი დოლარი დახარჯა. წელს 15 მილიონი დოლარი გამოიყო. სად წავიდა ეს ფული?"** - კითხულობს ფინანსთა მინისტრი. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე ბიწაძის მოთხოვნას უჭერენ მხარს. კირკიტაძემ დეპარტამენტისთვის დაფინანსების გაზრდის საკითხის მოგვარება საკუთარ თავზეც აიღო. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ერთი თვის წინათ ჩატარებულ სხდომაზე მან და კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ფინანსთა მინისტრს მითითებაც მისცეს, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მოთხოვნა გაეთვალისწინებინა. **"ჩვენი თხოვნა იქნება, შესაბამის უწყებებთან ერთად, კიდევ ერთხელ განვიხილოთ დეპარტამენტის დაფინანსების გაზრდის საკითხი (ვფიქრობ, ამისი რესურსი არის) და პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის შეჯერებული ვარიანტი წარმოადგინოთ,"** - ურჩია კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ ფინანსთა მინისტრს ლექსო ალექსიშვილს.

2006 წლის ბიუჯეტის პროექტს პლენარულ სხდომაზე დღეს განიხილავენ. ფინანსთა სამინისტროში კი ჯერ ვერ აკონკრეტებენ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2006 წლის დაფინანსება გაიზრდება თუ არა. **"ამ საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა,"** - განმარტავს მინისტრის მოადგილე გრიგოლ გობეჯიშვილი.

## "დარიალი" ჩაირთო

საქართველოს ენერგოსისტემაში 110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი" გუშინ ჩაირთო. აღნიშნული ხაზის აღდგენით, საქართველოს ენერგოსისტემას დამატებითი რესურსი გაუჩნდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განსახორციელებლად. ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალის" რამდენიმე ანძა გაძარცული იყო, მოიპარეს კონსტრუქციის კუთხოვანები, რასაც თან დაერთო მდინარე თერგზე მომხდარი წყალდიდობა.

ამის შედეგად ორ ანძას საძირკველი გამოერეცხა, რასაც მათი წაქცევა მოჰყვა. 2005 წლის სექტემბრიდან, 3 თვის განმავლობაში, კონტრაქტორ შპს "ელექტრომონტაჟმშენის" საავარიო ბრიგადები ადგილზე აწარმოებდნენ აღდგენით სამუშაოებს. 2 დეკემბერს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენლებმა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ინსპექტირების ჯგუფმა ადგილზე ერთობლივად დაათვალიერეს ხაზზე შესრულებული სამუშაოები. შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შემდგომ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს შესაბამისი სამსახურების შეთანხმებით, ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი" ძაბვის ქვეშ დადგა. "დარიალის" ექსპლუატაციაში გაშვებით მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მოკლედ

#### მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციას არც მიმდინარე კვირას გამორიცხავს

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციას არც მიმდინარე კვირას გამორიცხავს.

როგორც მაჭავარიანმა განაცხადა, თბილისის საკრებულოში 2 დეკემბერს "კონსერვატორები" საჩხუბრად მივიდნენ.

"მართალია, თბილისის საკრებულოს სხდომა საჯაროა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ზვიად ძიძიგური არც ერთი რაიონის მაჟორიტარი არ არის. რაც შეეხება საკრებულოს სხდომაზე მყოფ პირებს, ისინი "ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი აქტივისტები, ამჟამად კი თბილისის საქალაქო სამსახურების თანამშრომლები არიან," - განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი თქმით, მიმდინარე კვირას პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციები არ გამოირიცხება, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის მიზანია, დაიწყოს 2006 წლის გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და პენსიების რეფორმასთან დაკავშირებით მომზადებულ კანონპროექტებზე მსჯელობა.

მიხეილ მაჭავარიანი კობა დავითაშვილის მიერ 2 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებასაც პასუხობს. კობა დავითაშვილმა 2 დეკემბერს განაცხადა, რომ იგი აპირებს, ამომრჩევლის დაკვეთა შეასრულოს და გიგა ბოკერია სცემოს.

"ჩხუბი მორევაზეა, ამიტომ დავითაშვილს ამგვარი განცხადების გაკეთებას არ ვურჩევ," - განაცხადა მაჭავარიანმა. **ინტერპრესნიუსი**

#### "დემოკრატიულმა ფრონტმა" ნინო ბურჯანაძისგან პასუხი ვერ მიიღო

ახალმა საპარლამენტო ფრაქციამ "დემოკრატიულმა ფრონტმა" პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისგან საპენსიო კანონმდებლობის პარლამენტიდან გატანასთან დაკავშირებით პასუხი ვერ მიიღო.

როგორც "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მას ვერ გასცა პასუხი პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პენსიების შესახებ კანონპროექტის უკან გაწვევასთან დაკავშირებით.

როგორც ზვიად ძიძიგური აცხადებს, დღეს 11.00 საათზე კანონმდებლობის განხილვის პარალელურად პარლამენტის შენობის წინ დიდი აქცია გაიმართება.

"შესაძლოა, მე არ ვიყო პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და მიტინგზე ჩასვლა მომიწიოს, მაგრამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იქნებიან ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლები, რომლებიც მთავრობის მიერ შემოტანილ კანონს გააპროტესტებენ," - განაცხადა ძიძიგურმა. **ინტერპრესნიუსი**

#### ქართული ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ქართული ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, საქართველოდან ღვინის ექსპორტმა მიმდინარე წლის ათ თვეში 35 196 056 ბოთლი (0,75 ლიტრიანი) შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2004 წელს 26 მილიონი ბოთლი იყო. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, წლის ბოლომდე ღვინის ექსპორტი, სავარაუდოდ, 40 მილიონ ბოთლს გადააჭარბებს. წელს განხორციელებული ექსპორტიდან 20 870 318 ბოთლი ქართული ადგილწარმოშობის ღვინოებზე, ხოლო 14 415 738 ბოთლი სუფრის ღვინოებზე მოდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მეთევზეთა გასაჭირი

პირველი გვერდიდან

**"ყველაფერი თურქებზეა გათვლილი. შავ ზღვაში ქაფშიის სამრეწველო თევზჭერის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების წესები კორუფციის წინაპირობაა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული მწარმოებელი წინასწარ განწირულია დამარცხებისთვის და გზა ეხსნებათ მონოპოლისტებს,"** - ამბობენ ქართველი მეთევზეები.

აუქციონის პირობებითა და 41 ლოტად დაყოფილი კვოტის ღირებულებით უკმაყოფილონი დარჩნენ თევზის გადამამუშავებელი ქარხნების მეპატრონენიც. **"ასეთ დიდ თანხას ქართველები ვერანაირად ვერ გაწვდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თურქებს უწყობენ ხელს. საწარმო ავაშენე და მუშაობის პირობები არ მაქვს. პრეზიდენტის განცხადებით, იგი ყველა ახალაშენებული საწარმოს ლობისტია, ხელშეწყობის ნაცვლად კი მხოლოდ ხელი გვეშლება,"** - აცხადებს თევზის გადამამუშავებელ საამქრო "კაბადოკიას" დირექტორი მურმან ხარაბაძე.

"გამოდის, რომ ქარხანა უნდა დავხურო. ადრე სულ სხვა სალიცენზიო პირობებზე იყო საუბარი," - ირწმუნება გურამ წიწილაშვილი, რომელსაც წარმატებული სეზონის იმედით ახალაშენებული ქარხანა მილიონამდე ლარი დაუჯდა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გიორგი პაპუაშვილს აზრით, ქართველი მეთევზეების ხელშესაწყობად პირობები შეღავათიანია, რადგან ლიცენზიის კვოტა დანაწილებული სახით იყიდება და ერთ ტონა ქაფშიაზე (25 ლარის ოდენობით სალიცენზიო გადასახადის გარეშე) სააუქციონო საწყისი ფასი ერთ ლარს უტოლდება. თურქი კონკურენტების ხსენება მინისტრს მხოლოდ ღიმილს ჰგვრის. **"საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არაერთხელ გავმართეთ შეხვედრა და ისეთ ვარიანტზე შევთანხმდით, რომელიც ყველასთვის მისაღებია. ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ქართველ მეწარმეებს და საერთოდ ამ ბიზნესის განვითარებას,"** - ამბობს იგი მეთევზეებთან მორიგი დახურული შეხვედრის შემდეგ.

ჩვენი ინფორმაციით, შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებში, ბულგარეთში, რუმინეთსა და იგივე თურქეთში, მებადურები გათავისუფლებული არიან სალიცენზიო გადასახადისაგან. მეტიც, თურქ გემთმფლობელს საწვავის ღირებულების ნაწილს სახელმწიფო დოტაციის სახით უნაზღაურებს. სტაბილური გასაღების ბაზრისა და მყარი შემოსავლების გარეშე დარჩენილ ქართველ მეთევზეებს კი წინასწარი გადახდა კაბალურ ტვირთად აწვებათ. მით უმეტეს, რომ აუქციონის წესი ერთი ლარის რამდენიმე ათეულჯერ გაზრდის რისკს თავისთავად გულისხმობს. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ თურქულ და ქართულ ბაზრებზე ერთ კილოგრამ ქაფშიის ფასებს შორის სხვაობა 3 ამერიკული დოლარის ტოლია, მინისტრის განცხადებაში დაეჭვების საფუძველი არსებობს. **"აუქციონის სისტემა მეთევზეობაში მიღებულია, მაგრამ გათვლა პირველ რიგში ადგილობრივ მეწარმეებზე უნდა გაკეთდეს. ახლა ფაქტობრივად სიტყვების თამაში გამოდის: ჩვენი მეწარმე იჯარით იღებს თურქულ სეინერს, შემოდის თურქი, დაიჭერს თევზს და გააქვს. ე.ი. ჩვენ ვყიდით არა პროდუქციას, არამედ ნედლეულს, რასაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ აკეთებს. არადა, შეიძლება მეთევზეობის დარგი შესანიშნავად განვითარდეს, დაიტვირთოს ქარხნები, მოხდეს თევზის ზეთის, ფქვილის წარმოება და პროდუქციის გაყიდვით სახელმწიფო შემოსავლებიც გაიზრდება. ქართულ ფლოტს თავისუფლად შეუძლია სეზონზე 40-60 ათასი ტონა ქაფშიის მოპოვება,"** - ამბობს შავი ზღვის ეკოლოგიისა და თევზის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მაია შავლაყაძე.

წლეულს მთლიანი კვოტა 60 ათასი ტონით განისაზღვრა. ბოლო 15 წლის მანძილზე დადგენილ ნორმებს იგი რამდენჯერმე აღემატება. ინსტიტუტის დირექტორს აკაკი კომახიძეს თევზის მარაგის რაოდენობაზე ეჭვი ალიზიანებს და რატომღაც თავს წინასწარ იზღვევს: "დასკვნას უკრაინელი და ქართველი მეცნიერები ერთობლივად აკეთებენ. რადგან დოკუმენტს ხელს ვაწერ, პასუხსაც მე ვაგებ. თუმცა არის საბუთები, რომლითაც სასამართლო მე გამამართლებს. თუ თევზჭერის წერტი დაირღვა, მე ვერ ვიქნები პასუხისმგებელი," - ამბობს იგი. კომახიძე "24 საათთან" საუბრისას არ კონკრეტდება, უკრაინელი და ქართველი მეცნიერების დასკვნებს შორის სხვაობას კი მაია შავლაყაძე ამგვარად განმარტავს: "უკრაინული მხარე, რატომღაც, ყოველთვის კვოტის მეტ რაოდენობას მიუთითებდა. მათი გათვლით, შესაძლოა 80-100 ათასი ტონა ქაფშიის მოპოვება, რაზეც შეგნებულად თავს ვიკავებდით იმ მიზეზით, რომ ქართულ ფლოტს 40 ათასი ტონის ჭერაც არ შეეძლო და დრო მარაგის აღდგენას მოხმარდებოდა. კვოტის გაზრდაში არანაირი სიყალბე არ არის, მოთხოვნა გაიზარდა. საქართველოს დღეს შეუძლია მარაგის ათვისება და ეს არის ორიენტირი," - ამბობს შავლაყაძე.

ქართველი თევზმომპოვებლების თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენის საფრთხე კი დიდია. ფლოტს თევზჭერა შეუძლია, მაგრამ სეინერები ზღვაში ჯერაც არ გასულან. არაოფიციალური აქცენტი ისევ თურქებზე კეთდება.

ერთკვირიანი მცდელობის მიუხედავად, შავი ზღვის საზღვაო ადმინისტრაციაში კონკრეტული პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა. "24 საათის" დაინტერესებამ ადმინისტრაციის თანამშრომლები აშკარად დააფრთხო და სავარაუდო ზემდგომებისგან სატელეფონო მითითებების შემდეგ მათ ინფორმაციის დამალვა და კომენტარზე უარის თქმა ამჯობინეს. ერთადერთი, თურქული თევზსაჭერი სეინერების რაოდენობის დაზუსტება მოხერხდა. იმ დროისთვის 3 გემი აცხადებდა ჩვენს ტერიტორიულ წყლებში რეწვის პრეტენზიას. განცხადების მიღების დასრულებამდე მათი რაოდენობა სავარაუდოდ 40-მდე გაიზრდება.

ადმინისტრაციის დოკუმენტური დასაბუთების გარეშეც ცხადია, რომ ხშირ შემთხვევაში მეიჯარის ოფიციალური ვინაობა და გარიგებული ქართული მხარის პერსონა ერთმანეთს არ ემთხვევა და რომ თურქებზე დროშის გაცემის მიღმა კონკრეტულ ჯიბეებში დალექილი სოლიდური თანხები იკვეთება.

საზღვაო სამართლის საერთაშორისო კონვენციას საქართველომ ხელი 1992 წელს მოაწერა. კონვენციის თანახმად, უცხო ქვეყნის მცურავ საშუალებებს შიდა ტერიტორიულ წყლებში თევზჭერა ეკრძალებათ. მაია შავლაყაძე, გარდა იმისა, რომ თურქების მავნებლობაზე ღიად საუბრობს, ირწმუნება, რომ ფაქტებით დადასტურებული წერილობითი ახსნა-განმარტება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყოველწლიურად ეგზავნებოდა.

"უკრაინამ უკანონო რეწვის ფაქტზე დაჭერილ თურქულ მხარეს ხუთი სეინერი ჩაუძირა. სამაგიეროდ თურქები საქართველოს სანაპიროზე ლაღად გრძნობენ თავს. თურქულ და ქართულ მხარეებს შორის არანაირი სახელმწიფო დონის ხელშეკრულება არ არსებობს. თურქები მსოფლიოში არიან ცნობილი, როგორც უკულტურო, ბარბაროსი მეთევზეები. მათ სეინერებს გააჩნიათ მძლავრი, ქართველებზე ორჯერ დიდი ზომის ბადეები. მათი საჭერი იარაღები ხვრეტს, ანადგურებს ზღვის ფსკერს. ნადგურდება ძვირფასი სახეობის თევზებიც. ამ ყველაფერს შორიდან ვუყურებთ, ხმას ვერც ერთი სამსახური ვერ იღებს, რადგან არ გაგვაჩნია შესაბამისი კანონმდებლობა, თევზის მოპოვების კონცეფცია," - ამბობს შავლაყაძე.

პრობლემები აქ არ მთავრდება. სუფსის ნავთობტერმინალის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ მიმდებარე 33-მილიანი ზოლი ჩაკეტილ ზონად გამოცხადდა. ქაფშია იზამთრებს, აკუსტიკური დაბინძურება და გრავიტაციული მოვლენები მარაგზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული გარემოებითა და რეწვის არეალის შემცირებით სახელმწიფო ხაზინისთვის მიყენებული ზარალი მილიონობით ლარს უტოლდება, თუმცა საკითხი დღემდე დახურული რჩება.

მინისტრის საუბრის პარალელური ერთი მარტივი გათვლა: თევზჭერა დაშვებული ტერიტორია 120 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. 40 თურქი მეთევზის 2-კილომეტრიანი ბადეები, უხეშად რომ ვთქვათ, 80 კილომეტრზე იშლება, რასაც ემატება უკრაინელების ბადე-იარაღები. დარჩენილ მცირე ზოლში 27 ქართული სეინერის რეწვა და ხსენებული მხარდაჭერა ერთდროულად, ცოტა არ იყოს, რთული გასაშიფრია.

როგორც ადრე ვთქვით, უცვლელი პრობლემებით დაღლილმა ქართველმა მეთევზეებმა სეზონის დაწყებამდე კიდევ ერთხელ მიმართეს ყველა შესაბამის სტრუქტურას. შედეგი ვერც ფოთის მერისა და მხარის გუბერნატორთან ხშირმა შეხვედრებმა, გიორგი პაპუაშვილის ფოთში სტუმრობამ და ვერც ქვეყნის უმაღლეს ინსტიტუტებში დაგზავნილმა წერილებმა გამოიღო.

"ასეთი ამბავი ყოველ სეზონზეა ატეხილი და ბოლოს და ბოლოს, როდის მოელება ბოლო უტიფარ, ცინიკურ დამოკიდებულებას ფოთელი და საერთოდ, ქართველი მეთევზეების მიმართ," - განაცხადა პარლამენტის სხდომაზე ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა რომან მელიამ.

"რასაც მეთევზეები აპროტესტებენ, ეს არის მთავრობის მიერ შემოტანილი ინიციატივა, რომელსაც პარლამენტმა მხარი დაუჭირა. იგი განსაკუთრებულ რევიზიას არ საჭიროებს. თუ ვინმეს არ მოსწონს, ვილაცას წერილებს ნუ დააწერინებს," - იყო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის რეაგირება.

"უკვე არ ვიცით, ვის მივმართოთ. სეზონი 1 სექტემბრიდან იწყება. ქაფშიას 25 ოქტომბრიდან ვიჭერდით. სამი თვეა, ზღვაში არ გვიშვებენ. არავინ იცის, რატომ. აუქციონი ჩვენთვის წინასწარ წაგებული ვარიანტია. გამოვიტანთ განაცხადებს და თურქები და უკრაინელები "ეომონ" ერთმანეთს. რა არის მომგებიანი და სასარგებლო ქართული სახელმწიფოსათვის, - საკანონმდებლო ბაზით ქართველი მეთევზისთვის ხელის შეწყობა და ამით ბიუჯეტის გამდიდრება, თუ უცხოელი გემთმფლობელის თანადგომით დარგის დასამარება?" - ამბობს საქართველოს მეთევზეთა კავშირის თავმჯდომარე ნორად მიმინოშვილი. "ვერაფრით ვერ ვხვდები აუქციონის კანონზომიერებას. ზღვაში თევზი იქნება თუ არა, არავინ იცის, თუ ვერაფერი დავიჭირე, ვინ დამიბრუნებს წინასწარ გადახდილ თანხას? რისთვის გამოვცხადდე აუქციონზე?" - კითხულობს სეინერ "ილორის" კაპიტანი იაროსლავ თამლიანი.

აუქციონი 7 დეკემბერს იმართება. მეთევზეები აუქციონში მონაწილეობაზე უარის თქმას გეგმავენ. ისინი საპროტესტო აქციების გამართვასაც არ გამორიცხავენ. 27 თევზსაჭერი სეინერის, თევზის გადამამუშავებელი ქარხნებისა და საამქროების 2000-მდე თანამშრომელი სხვა გამოსავალს, უბრალოდ, ვერ ხედავს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

## უცნობი თავისუფლება

### გადაცემის სტუმარია პაატა ზაქარეიშვილი

**კობა ლიკლიკაძე**: რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა საკრებულოში, ზოგადად არსებობს თუ არა ნორმალური საუბრის რესურსი და საშუალება დღევანდელ საქართველოში?

**პაატა ზაქარეიშვილი**: საკრებულოში ხდება ის, რაც ხდება სახელმწიფოში, პოლიტიკურ ელიტაში. საკრებულოს თავისი სახე არ გააჩნია. ორგანო, რომელიც ქალაქის მოსახლეობის მიერ არის არჩეული, უსირცხვილოდ ამბობს, რომ ის წარმოადგენს პრეზიდენტის უმრავლესობას. ანუ ამით ამბობენ, რომ აკეთებენ არა იმას, რაც ქალაქს სჭირდება, არამედ იმას, რასაც პრეზიდენტი უბრძანებს. როცა საუბარი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეზე და მთელი ქალაქი ფეხზე იდგა, მათ ეს არც კი შეიტანეს დღის წესრიგში, იგივე გააკეთეს იპოდრომთან დაკავშირებით. იმიტომ, რომ ასე ჰქონდათ ნაბრძანები ზემოდან. რაც მოხდა პარასკევს, ეს იყო აპოგეა და იმედია, უარესი წინ არ გველის. თუმცა ახლოვდება თვითმმართველობის არჩევნები და აშკარაა, რომ ხელისუფლებას ამ არჩევნების ეშინია. ყველანაირად ცდილობს, რომ ეს არჩევნები დააკანონოს, ხალხი არჩევნებამდე არ მიუშვას, და ესკალაციაც გამორიცხული არ არის. მაგრამ პარასკევს ბიუჯეტის განხილვა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ბიუჯეტი იყო ზედმეტად პოპულისტური, ანუ ყურადღება გადატანილი იყო შადრევნების, ფასადებისა და გზის მოწესრიგებაზე, რაც, თავისთავად, ცუდი არ არის. მაგრამ როცა უამრავი ამაზე მნიშვნელოვანი პრობლემა არსებობს, მათი ქმედება თვალში ნაცრის შეყრას ჰგავს. მაშინ, როცა ჭიაბერაშვილი გადადგა, ჩვენ არ გვყოლია მთავრობა და ბიუჯეტიც ვერ დამტკიცდებოდა. ეს იყო ძალიან სამარცხვინო ფორმა, როცა ერთ დღეში დამტკიცდა, და მერე ვითომდა დამტკიცებულმა მთავრობამ შემოიტანა ბიუჯეტი.

**კობა ლიკლიკაძე**: მაგრამ მე ერთი ვერ გავიგე. რატომ გახდა საჭირო ზვიად ძიძიგურის, დავით ბერძენიშვილისა და კახა კუკავას იქ მისვლა? შემთხვევით, პროვოკაციის ელემენტები ხომ არ იყო?

**პაატა ზაქარეიშვილი**: ისინი, ვინც იქ მოვიდნენ, არიან "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები, ჩემი მეგობრები, და გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ მათ შორის არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. ისინი იქ მოჰყვნენ კობა დავითაშვილს, რომელსაც პირობა ჰქონდა მიცემული გლდანისა და ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისთვის, რომ ბიუჯეტის განხილვისას მათ პრობლემებს წამოაყენებდა. მას ეგონა, რომ ბიუჯეტის დამტკიცება დეკემბერში მოხდებოდა, და ასეც იყო ცნობილი. როცა კობა დავითაშვილი მიხვდა, რომ ბიუჯეტის დამტკიცება მოულოდნელად ხდებოდა, მან იჩქარა, რათა დროზე მოეტანა საკრებულოში გლდანი-ნაძალადევის მოსახლეობის პრობლემები და ისინი ბიუჯეტში გაეთვალისწინებინათ. ეს არის ის ფორმალური მხარე, რაც მე ვიცი. მაგრამ დაძაბულობა მანამდე იყო, სანამ შემოვიდოდნენ. მე ვიდექი მიკროფონთან და ჩემს წინ იდგა შატბერაშვილი. ამიტომ, უშუალო მონაწილე ვარ, როგორ დაიწყო, როგორ აგორდა ის ყველაფერი. უცებ შატბერაშვილმა მერს ცრუპენტელა უწოდა. მე, რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ ამგვარი არაკორექტული გამოთქმებისგან თავი უნდა შევიკავოთ, მაგრამ თვით ზედა ეშელონების მხრიდანაც ხშირად გაისმის ოპოზიციის მისამართით საკმაოდ არაკორექტული ფრაზები. ანუ, სამწუხაროდ, ეს უკვე დამკვიდრებული "კულტურაა." შატბერაშვილის ამ სიტყვას მოჰყვა ის, რომ "ალორძინებიდან" უმრავლესობაში გადასულმა ტაბიძემ, არც აცია, არც აცხელა, და პირდაპირ სახეში "დააკერა." უმრავლესობაც ისეთი შემართული იყო, რომ უცბად ყველა დაესია ამ შატბერაშვილს. მერე ცოტა ხანი ჩაწყნარდა სიტუაცია, და დაიწყო მეორე ტალღა, როცა დარბაზში შემოვიდნენ დეპუტატები - ბრეგაძე და კირკიტაძე, რომელთაც ახლდა აბსოლუტურად უცხო, შავქურთუკიანთა მთელი არმია.

**კობა ლიკლიკაძე**: ხომ არ იცით, ვინ იყვნენ ეს ადამიანები? ათასი მითქმა-მოთქმაა მათ შესახებ. ამბობენ, რომ ესენი იყვნენ მოჭიდავეები, რაგბისტები...

**პაატა ზაქარეიშვილი**: ფაქტია, რომ ეს ხალხი საჩხუბრად იყო მოსული. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ ხალხს არ გაეგო - არ არსებობდა დამტკიცებული მთავრობა და, შესაბამისად, ბიუჯეტის დამტკიცება შეუძლებელი იყო. და ასეც მოხდა. ამ ამბის მერე ბიუჯეტზე აღარავინ ლაპარაკობდა. აქცენტი ცემა-ტყეპაზე იყო გადატანილი.

ბიუჯეტი კი, რომლის მიღებაც სურს ხელისუფლებას, არის ანტიქართული და დამატებითი ჯიბე სააკაშვილისთვის.

# ჭკა მაგასაო... და ოპოზიციის "პენსიონერა"

პირველი გვერდიდან

მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ პირიქით მომხდარიყო - ჟურნალისტებს იმერეთის გუბერნატორზე სიუჟეტი ნერვებზე აეშალოთ, ჩხუბში თავად წამოეწყოთ და პრეზიდენტის რწმუნებულისთვის დაერტყათ. ეჭვი არ შეგეპაროთ: შემთხვევის ადგილზე უმალ გაჩნდებოდა საპატრულო პოლიცია, [illegible] და მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა.

ვინაიდან ასეთი [illegible] აკაკი ბობოხიძის [illegible]

აკაკი ბობოხიძის გარდა, "ჩვენი დროის გმირების" პოლიტიკურ გალერეაში მოხვედრის რეალური შანსი აქვს დეპუტატ ბიძინა ბრეგაძესაც. მართალია, ოპოზიციის მიერ თბილისის საკრებულოში ორგანიზებული "საპენსიო ბუნტის" დროს [illegible]

[illegible] ბული ოთხშაბათის დღის წესრიგში - ხვალ დეპუტატებმა უნდა იმსჯელონ კანონპროექტებზე "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" (მეორე მოსმენით) და "სახელმწიფო პენსიის შესახებ (პირველი მოსმენით). ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა ზვიად ძიძიგურმა, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, უმრავლესობის წარმომადგენლებს საპენსიო საკითხის გადადება და ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა შესთავაზა, რომელიც სადავო საკითხებს შეაჯერებს და ორივე მხარისთვის მისაღებ დოკუმენტს შეიმუშავებს.

ვინაიდან ბიუროს სხდომამ ძიძიგურის "საზავო პირობები" არ მიიღო, სავარაუდოდ, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიცია იმუქრება, რომ ქუჩის საპროტესტო აქციებს განაახლებს.

იმას, რომ დეპუტატებს დაძაბულ რეჟიმში მოუწევთ მუშაობა, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ადასტურებს. **"მძიმე დღის წესრიგი გვაქვს. საშემოდგომო სესიის დასრულებამდე რამდენიმე სხდომაა დარჩენილი, ჩვენ კი 143 კანონპროექტი გვაქვს განსახილველი,"** - დროის დეფიციტს უჩივის პარლამენტის სპიკერი, რომლის თქმითაც, მან უკვე მიმართა პრეზიდენტს თხოვნით, რიგგარეშე სხდომების მოწვევის თაობაზე.

ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს ისიც კი დაუთვლია, რომ 143 კანონპროექტის მიღება რომ მოასწრონ, დეპუტატებმა პლენარულ სხდომებზე, ყოველ 13 წუთში ერთი კანონპროექტი მაინც უნდა განიხილონ, რაც, თავად მაჭავარიანის აღიარებით, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის სიურპრიზი, რომელიც დეპუტატებს გუშინ მთავრობის საპარლამენტო მდივანმა მოუწყო - თითქოს, 2006 წლის ბიუჯეტის პროექტი არ კმაროდა, გიორგი ხუროშვილმა პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**"ეს როდისღა განვიხილოთ?"** - ამის გამგონეს, ლამის გული შეუღონდეს პარლამენტის თავმჯდომარეს.

**"არა უშავს, ქალბატონო ნინო, დროში ვჯდებით,"** - ამშვიდებს გიორგი ხუროშვილი პარლამენტის სპიკერს.

**"რას ჰქვია ვჯდებით, როგორ ვჯდებით!"** - მთავრობის წარმომადგენლისგან რაღაც მზაკვრობას ელოდება ბურჯანაძე.

ერთი სიტყვით, მზაკვრობა, ინტრიგები და დაძაბულობა პარლამენტში ამ კვირაში მრავლად იქნება, ისევე როგორც მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ოპოზიცია კვლავაც შემოსძახებს "პენსიონერას". ასეთი სიტუაცია კი, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, "ჩვენი დროის გმირების" პოლიტიკური გალერეის შესავსებად პირდაპირ მისწრებაა.

# ასლან აბაშიძე ძებნილად გამოცხადდა

პირველი გვერდიდან

ერთი-ორი საქმე, რომელიც საქართველოს მმართველობის კრახის მიზეზთა მაძიებელთ აჭარის მიმართულებით წაიყვანდა. ისიც უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ ასლან აბაშიძის, როგორც "ზოროტი ძალის" ეფექტი, არაერთხელ შედეგიანად გამოუყენებია. სამაგიეროდ, საქართველოს პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ, რომელსაც ასლან აბაშიძის წინააღმდეგ სამხილთა გამოქვეყნების არაერთი საშუალება გააჩნდა, სახალხოდ განაცხადა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გასულ, რეგალიებაყრილი ასლან აბაშიძის, მისი ოჯახისა და უახლოესი გარემოცვის მიმართ პრეტენზიებს არ წამოაყენებდა. იმთავითვე წარმოშობილ წინააღმდეგობას - პოლიტიკური მიზნების გამო სამართლებრივი მოთხოვნების უგულვებელყოფის შესახებ - პოსტვარდების-რევოლუციურმა ხელისუფლებამ სრულიად გასაგები პასუხი გასცა. ამ პასუხის თანახმად, ასლან აბაშიძეს, საქართველოს საზღვრის გადმოლახვამდე ანუ, მანამდე, სანამ ის საქართველოს გარეთ იმყოფებოდა, შეეძლო თავი მშვიდად ეგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შემოუსვლელობის შესახებ პირობა ასლან აბაშიძეს დღემდე არ დაურღვევია, ამჟამად საქართველოს ხელისუფლების მიერ მისთვის მიცემული პირობის დარღვევაზე საუბრობენ. ამ პრეტენზიის წამოყენების მიზეზს აჭარის ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მეტიც, გუშინ მისი დაპატიმრების სანქციის გაცემა აძლევთ.

ძნელია, რომ აბაშიძეზე ძებნის გამოცხადების უკან საქართველოში ნომერ პირველი ტერორისტის სტატუსის მქონე იგორ გიორგაძის პარტიის სპიკერად ჯემალ გოგიტიძის მოვლენა და პარტიის დამფინანსებლებად საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების გამოცხადება არ მოიაზრო. ესეც რომ არა, ისიც არ გახლავთ უმნიშვნელო, რომ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ, პოლიტიკურის გარდა, სამართლებრივი პრეტენზიების წაყენებაც საქართველოს ხელისუფლებას ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლია. წაუყენეს კიდეც: 98 მილიონი დოლარის ფინანსური მაქინაცია, ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდების აფეთქება, უკანონო დაპატიმრებები და ტერაქტის მოწყობის მცდელობა - ეს ისეთი დანაშაულებია, რომელთა ჩადენის დამტკიცების შემთხვევაში, აჭარის ყოფილ მეთაურს საზოგადოების მხარდაჭერის არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამ დანაშაულების გამო გამოიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, აჭარის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე ძებნილად გამოცხადდა.

პირობის დარღვევა - ასე მონათლა აბაშიძის დაცვის მხარემ ჯერ გენერალური პროკურატურის მიერ აჭარის ყოფილი მეთაურის დაპატიმრების მოთხოვნა, შემდეგ კი ბათუმის სასამართლოს მიერ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**"პრეზიდენტმა მის მიერ დადებული პირობა დაარღვია,"** - აცხადებს აბაშიძის ინტერესების დამცველი ადვოკატი შალვა შავგულიძე, რომლის თქმითაც, ბრალდების მხარეს მისი დაცვის ქვეშ მყოფის დანაშაულის დასამტკიცებლად არავითარი არგუმენტი არ წარმოუდგენია. თავის მხრივ, გენერალური პროკურატურა მიიჩნევს, რომ ასლან აბაშიძის თავისუფლად ყოფნა ხელს შეუშლის ყველა, მისთვის ინკრიმინირებული დანაშაულის გამოძიებას.

მაშინ, როცა დაცვის მხარე ასლან აბაშიძის დაპატიმრების გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს, საქართველოს პრეზიდენტი უარყოფს თავის მხრიდან მიცემული პირობის დარღვევას:

**"ჩვენ დაპატიმრებასთან წკიპზე მყოფ ასლან აბაშიძეს მივეცით გარანტია და მან საქართველო უვნებლად დატოვა და ფიზიკურად გადარჩა. ამის შემდეგ მის მიერ დანატოვარ ნაღმებზე ბავშვები აფეთქდნენ და კიდევ სხვა მისი უმსგავსო დანატოვარი გამოვლინდა. ასე რომ, ასეთი დანაშაულების გამო ქართული სახელმწიფო არავის არავითარ გარანტიას არ მისცემს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ასლან აბაშიძე პასუხისმგებელია იმ განუკითხაობაზე, რომელიც მისი მმართველობის დროს აჭარის რეგიონში იყო და ამაზე პასუხი მან აუცილებლად უნდა აგოს.

ამავდროულად, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ასლან აბაშიძის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა და საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ სასამართლო გამოიტანს.

თუმცა, არსებობს სხვა, გარეშე ფაქტორიც - რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, რომელიც იმთავითვე ლოიალურად იყო განწყობილი აჭარის ყოფილი მეთაურის მიმართ და, რომელიც უკვე 12 წელია ირწმუნება, რომ არ იცის საქართველოს მიერ ძებნილი იგორ გიორგაძის ასავალ-დასავალი. ფაქტია, რომ უმტკივნეულოდ ასლან აბაშიძის საქართველოსთვის გადმოცემას რუსეთის ხელისუფლება არ იტვირთავს. ისიც ძნელი სათქმელია, რა ხერხს მიმართავს იგი მოსკოვში სრულიად ლეგალურად მცხოვრებ, საკმაოდ შემოსავლიანი რუსული კომპანიების მფლობელ ასლან აბაშიძესთან მიმართებაში - შესთავაზებს მას იმავე იგორ გიორგაძის, ანუ მოუხელთებელი ძებნილის ბედს, თუ სამართლებრივ ბერკეტებს მიმართავს და სასამართლოს ძალით შეეცდება მის დაცვას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ოფიციალურ საქართველოს ისევე გაუძნელდება ასლან აბაშიძისთვის ბრძოლა, როგორც რუსეთის ხელისუფლებას უჭირს სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებთან ბორის ბერეზოვსკის, ახმად ზაკაევისა და სხვა ძებნილებთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესების სასარგებლო მოლაპარაკებების წარმოება.

უცხოეთი

# "დემოკრატიზაციის" კიდევ ერთი ვადა

## ნაზარბაევმა "ზედმეტად" დამაჯერებლად გაიმარჯვა

*როგორც მოსალოდნელი იყო, ნაზარბაევი კიდევ შვიდი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს ყაზახეთს. მართალია, ეუთო-ს განცხადებით, კვირას ყაზახეთში გამართულ არჩევნებთან სრულიად უადგილოა ზედსართავები "დემოკრატიული", "სამართლიანი" და "თავისუფალი", მაგრამ მთავარია, რომ იგი "ყაზახი ხალხის არჩევანი" იყო.*

ყაზახეთში კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, ნურსულთან ნაზარბაევმა დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ყახაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დღეს გავრცელებული ინფორმაციით, ნაზარბაევმა, რომელიც უკვე 16 წელია ქვეყანას ხელმძღვანელობს, ამომრჩეველთა ხმების 91 პროცენტზე მეტი მოაგროვა.

ნაზარბაევის ძირითად მეტოქეს, ოპოზიციური ბლოკის "სამართლიანი ყახაზეთის" ლიდერს ჟარმახან ტუიაკბაის ამომრჩეველთა დაახლოებით 6,5 პროცენტმა მისცა ხმა.

ნაზარბაევმა განაცხადა, რომ ეს არჩევნები ყველაზე დემოკრატიული იყო დამოუკიდებელი ყაზახეთის ისტორიაში. მისი თქმით, არჩევნებში "ყაზახმა ხალხმა გაიმარჯვა".

თავის მხრივ, ოპოზიცია აცხადებს, რომ ხმის მიცემის პროცესში ბევრი დარღვევა დაფიქსირდა და არჩევნები არადემოკრატიული იყო. ოპოზიციის წარმომადგენლის ბულატ აბილოვის თქმით, ბევრი ამომრჩეველი სიაში არ იყო შეტანილი, ზოგიერთ უბანზე კი საარჩევნო ბიულეტენები არ ყოფილა. გარდა ამისა, მან მთავრობის ჩინოვნიკები ზოგიერთ უბანზე ხმის მიცემის პროცესში ჩარევაში დაადანაშაულა.

დსთ-ს დამკვირვებელთა ჯგუფის წარმომადგენელმა ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებს გამჭვირვალე უწოდა და აღნიშნა, რომ დარღვევები არ შეუმჩნევიათ.

საერთაშორისო დამოუკიდებელ დამკვირვებელთა დელეგაციის წევრმა, უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ვიქტორ მაკეროვმა კი განაცხადა, რომ მათ მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკური დარღვევები დააფიქსირეს.

გუშინ ეუთო-ს მიერ გაკეთებულ ანგარიშში ნათქვამია: სადამკვირვებლო მისიის მიერ დაფიქსირებული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანდიდატებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მეტ-ნაკლებად შესამჩნევი კონკურენციის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებაა აუცილებელი. "კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო, რათა ეუთო-ს მოთხოვნები დემოკრატიული არჩევნებისა და ანგარიშვალდებული ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე დაკმაყოფილდეს," - განაცხადა ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ დიმიტრი რუპელმა.



*გამარჯვებული.*

ასე რომ, პირვანდელი მკვეთრი განცხადებების მიუხედავად, დასავლეთი, სავარაუდოდ, ზურგს არ შეაქცევს "არადემოკრატიული" გზით სათავეში დარჩენილ ნაზარბაევს.

მას კი კვალავაც შეეძლება დღემდე წარმატებული ბალანსირების პოლიტიკის გაგრძელება რუსეთ-ჩინეთსა და აშშ-ევროპას შორის.

სხვათა შორის, მაშინ როცა ეუთო-ს დამკვირვებლების არჩევნების გაყალბების ფაქტებზე საუბრობდნენ, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ყაზახი კოლეგისთვის გამარჯვების მილოცვას ჩქარობდა.

# ჰუსეინის ხმაურიანი სასამართლო პროცესი გრძელდება

*ორშაბათს განახლებულ სასამართლო პროცესზე დასავლური ტიპის ტანისამოსში გამოწყობილი სადამ ჰუსეინი ღიმილით შევიდა. მოგვიანებით კი ყოფილმა დიქტატორმა მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება უარყო, ხოლო სასამართლო უსამართლობაში დაადანაშაულა. გუშინვე ერაყის ქუჩებში ჰუსეინის მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა საპროტესტო აქციები გაიმართა.*

ნანა ნასყიდაშვილი

სადამ ჰუსეინისა და მისი თანამოაზრეების სასამართლო პროცესი ორშაბათს განახლდა. საგულისხმოა, რომ გუშინდელ დღეს, ერაყის ყოფილი ლიდერის წინა სასამართლო პროცესების მსგავსად, წყნარ ვითარებაში არ ჩაუვლია. ჰუსეინისა და სხვა ბრალდებულთა ადვოკატებმა სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად მას შემდეგ დატოვეს, რაც მოსამართლე რიზქარ ამინმა სასამართლოს არალეგიტიმურობის თაობაზე მათი ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის განხილვა არ მოისურვა და მისი წერილობითი სახით გადაცემა ითხოვა. მოგვიანებით მოსამართლე იძულებული გახდა, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და 50 წუთით ადრე ჩაშლილი სასამართლო პროცესი კვლავ განახლდა. ექსპერტები იმედს გამოთქვამენ, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პროცესზე ქალაქ დუჯეილში მომხდარ მკვლელობებთან დაკავშირებით ჩვენებას 10 მოწმე მისცემს. სადამ ჰუსეინსა და ერაყის შვიდ ყოფილ მაღალჩინოსანს ქალაქ დუჯეილის მოსახლეობის, ძირითადად შიიტთა, მკვლელობაში ედებათ ბრალი. დიქტატორისა და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაში ნათქვამია, რომ დუჯეილში 148 ადამიანის მკვლელობა სადამ ჰუსეინზე შეიარაღებული თავდასხმის განხორციელების მცდელობის შემდეგ მოხდა (აღნიშნული მკვლელობების ორგანიზება სადამ ჰუსეინს წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდებაა.).

ნიშანდობლივია, რომ ბრალდებულთა ადვოკატები მართლმსაჯულებისგან სასამართლო პროცესის კანონიერების პარალელურად, საკუთარი უსაფრთხოების საკითხის გარკვევას ითხოვენ. სავარაუდოდ, სასამართლოს არალეგიტიმურობის თაობაზე განცხადების გაკეთების შესაძლებლობა ჰუსეინსაც შეიძლება ჰქონდეს. ადვოკატთა მხრიდან პირადი უსაფრთხოების ინტერესი ერაყის ყოფილი ლიდერის თანამოაზრეების დამცველი ორი ადვოკატის მკვლელობის შემდეგ გაძლიერდა. საგულისხმოა, რომ სასამართლოს წინააღმდეგ აგრესია თანდათან იზრდება და გაჩენილი დაძაბულობის არსებობის საფუძველს თვით ერაყის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებიც იძლევა. ამ დღეებში გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის სამართალდამცავმა ორგანოებმა 4 დეკემბერს სასამართლო შენობაზე შეიარაღებული თავდასხმის აღკვეთა შეძლეს.

ერაყის ყოფილ ლიდერს კვირას მისი ადვოკატები შეხვდნენ. აღნიშნულ შეხვედრას, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, ჰუსეინისა და მისი ადვოკატების გარდა არავინ ესწრებოდა. დიქტატორის დამცველთა თქმით, კლიენტთან პირისპირ საუბრის შესაძლებლობა მათ მანამდე არ ჰქონიათ. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელიც დღემდე დიქტატორის საქმის წარმოებაში აქტიურად იყო ჩართული, ჰუსეინის სასამართლო პროცესში შემდგომ მონაწილეობაზე უარი განაცხადა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთ-ერთი ბრალდებული, შესაძლოა, აღნიშნული მოსამართლის ძმის მკვლელი იყოს.

დიმიტრი ავალიანის სვეტი

# აგრესია და შიში

ძალადობა თბილისის საკრებულოში, ვნებათაღელვა ახალი საპენსიო კანონის გარშემო, ცხარე დისკუსია შრომის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გასამართლება ერთმანეთს თითქოს ლოგიკურად არ უკავშირდება, თუმცა რეალურად ეს ერთი სისტემური პრობლემის გარდაუვალი შედეგებია.

აგრესია, რომელიც თავდაპირველად ოპოზოციის წარმომადგენლებმა გამოავლინეს საპენსიო კანონის განხილვის დროს, აგრეთვე საპროტესტო აქციის მონაწილეთა განწყობა, თავად არსებული პრობლემის არაადეკვატური, გადაჭარბებული იყო. ხოლო ხელისუფლების რეაქცია, რომელმაც საკრებულოს დარბაზში "სხვადასხვა სამსახურების" უცნობი კუნთმაგარი "წარმომადგენლები" შეყარა და ოპოზიციას მუშტი-კრივი გაუმართა, ასევე არაადეკვატური იყო იმ "საფრთხისა", რასაც ოპოზოციონერთა ქალაქის ბიუჯეტის განხილვაში შესაძლო მონაწილეობა შეიცავდა.

ეს, უბრალოდ, დაგროვილი მუხტის გამოთავისუფლება იყო. ორმხრივი გაბოროტება და აგრესია დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა: **ოპოზიციაში** - უმრავლესობის წევრთა მხრიდან მათდამი და მათი არგუმენტებისადმი მუდმივად დამცინავი და ცინიკური დამოკიდებულების გამო. იმის გამო, რომ თავად პრეზიდენტმა ზუგდიდიდან გაკეთებული ტელემიმართვის დროს ხელისუფლების ყველა გამკრიტიკებელი ილია ჭავჭავაძის ციტატების დახმარებით "მიწასთან გაასწორა" და ფაქტობრივად თავის მომხრეებს მათი აზრის სრული იგნორირებისკენ მოუწოდა...

საპროტესტო აქციაზე შეკრებილ **მოქალაქეებში** - იმის გამო, რომ ხელისუფლება საზოგადოებას რაღაც უნებისყოფო მასად მიიჩნევს, რომელიც პიარ-აქციებით, პოლიტტექნოლოგიებითა და კლიპებით უნდა მართო. იმის გამოც, რომ საზოგადოებაში გაჩენილი არც ერთ კითხვას ხელისუფლება სხვა პასუხის ღირსად არ თვლის, თუ არა ოპერატიულად გაკეთებული სარეკლამო კლიპების მეშვეობით გაცემული "პასუხისა". კლიპები ძალიან კარგი რამეა, თუმცა ერთ დიდი ნაკლი აქვს - ტელევიზორს ვერ დაუსვამ კითხვას, და ის ვერ გაგცემს ამომწურავ პასუხს. ამიტომ ამ კლიპებს ან უნდა დაუჯერო, ან ბოლმა დააგროვო, და ელოდო მომენტს, როცა შენი პროტესტის დაფიქსირება შეგეძლება. თუნდაც, როგორც პენსიონერთა აქციაზე შეკრებილებმა გააკეთეს.

ანუ მცირე საბაბიც, შედარებით უმტკივნეულო საკითხიც კი, ამ შემთხვევაში სხვა პრობლემების გამო დაგროვილი ემოციებისა და პროტესტის გამოვლენის საბაბი ხდება.

**ხელისუფლების** წარმომადგენელთა მხრიდან კი აგრესიის მიზეზი ერთდროულად შიში და ძალის დემონსტრირების სურვილია. შიში იმისა, რომ მაღალ რევოლუციურ რეიტინგს, რომლის არსებობის მათ ჯერ კიდევ სწამთ, რაიმე საფრთხე დაემუქრება. და რომ ოდესმე ოპოზიციის არგუმენტებს შეიძლება მოსახლეობის უფრო მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაუგდოს ყური. ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ოპოზიციის მხრიდან კრიტიკის, ან საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება წარმოუდგენელია, ვინაიდან საკუთარი "სისუსტის" გამოვლინებად ჩათვლიან.

ასეთი დამოკიდებულება ძალან უცნაურია, ვინაიდან ისინი, სახელმწიფო მოხელეები და დეპუტატები, სწორედ საზოგადოების მიერ არიან დაქირავებულები და ხელფასს გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე იღებენ. და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, დისკუსია, ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცესის შემადგენელი ნაწილია. "სისუსტე" აქ არაფერ შუაშია.

თუმცა, ეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პირობებში, თორემ მუდმივი ბრძოლისა და პერმანენტული რევოლუციის პროცესში, როგორც საკუთარ თავს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მოიაზრებენ, დევიზი - "არც ერთი ნაბიჯი უკან!" - გამართლებულია. მაგრამ გამოცანად რჩება, ვის ებრძვიან ისინი ასე გააფთრებით რევოლუციდან ორი წლის შემდეგ?

იმის შიშით, რომ "ძლიერი ხელისუფლების" სახელი შეელახებათ, მათ ხელისუფლების წიაღიდან წამოსული ნებისმიერი სისულელე, მაგალითად, მე-19 საუკუნის შრომითი კოდექსის პროექტი, რომელიც ქვეყანაში ფაქტობრივად ტრეფიკინგს აკანონებს, აუცილებლად უნდა დაიცვან კრიტიკისაგან.

ისინი საზოგადოებას ყოველდღიურად, ყველა დონეზე აგრძნობინებენ, რომ მათი, რიგითი მოქალაქეების აზრი არაფერს ნიშნავს, და ისინი მაინც ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროდ მიიჩნევენ.

ქვეყანაში პატარა ბავშვმაც კი იცის, თუ რა დამოკიდებულება აქვს დღევანდელ ხელისუფლებას სასამართლოებთან. ამას, ფაქტობრივად, აღარც მალავენ. თუმცა, სამსჯავრო, რომელიც "დევნილ" მოსამართლეებს, ფაქტობრივად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა მოუწყვეს, ცხადყოფს, რომ ხელისუფლება მაინც აპირებს "თავისი ბოლომდე გაიტანოს", თუნდაც ეს ყველაფერი თეთრი ძაფებით იყოს ნაკერი.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი უდიდესი შიში - საკუთარი არაკომპეტენტურობის და უვარგისობის აღიარებისა. თუ რომელიმე ჩინოვნიკი მთლად ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს (და ასეთები ყველა ქვეყანაში მოიპოვება ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში), მისი "თანაგუნდელები" მას მაინც ბოლომდე დაიცავენ. ხოლო თავად ჩინოვნიკი თავს მოვალედ მიიჩნევს, საკუთარი თავი ამაყად პრეზიდენტის პოლიტიკის გამტარებლად გამოაცხადოს და თავის გაფუჭებულ საქმეზე პასუხისმგებლობა ამით პრეზიდენტს გადააბაროს...

პრობლემა ერთია -კომუნიკაციის, კონსტრუქციული დიალოგის დეფიციტი. შთაბეჭდილება იქმნება, რომ პრეზიდენტი ერთ ქვეყანაში ცხოვრობს, ხელისუფლების საპარლამენტო გუნდი - მეორეში, ოპოზიცია - მესამეში, საზოგადოება - მეოთხეში. და ეს ქვეყნები სხვადასხვა პლანეტებზე მდებარეობს და ერთმანეთთან არანაირი კავშირის საშუალება არა აქვთ. ამას ნორმალურ პოლიტიკურ პროცესთან არაფერი აქვს საერთო. ამის გამო კონფრონტაციის, აგრესიულობისა და გაუცხოების დონე პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა ნაწილს შორის დღითიდღე იზრდება.

# გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე 5 დეკემბერს სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. გიორგი ბარამიძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს მეტ ბრაიზასა და თავდაცვის მდივნის მოადგილეს ერიც ედელმანს შეხვდება. ის ასევე სენატორებთან, ჩუკ ჰაგელსა და რიჩარდ ლუგართან გამართავს შეხვედრებს. დაგეგმილია სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა მარშალის ფონდის პრეზიდენტთან - გრეგ კენედისთან. 6 დეკემბერს გიორგი ბარამიძე ატლანტიკურ საბჭოში მიიღებს მონაწილეობას, სადაც ის საქართველოში მიმდინარე რეფორმების, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, რეგიონში არსებული კონფლიქტებისა და მათი მოგვარების სამშვიდობო გეგმის საკითხებზე ისაუბრებს. სახელმწიფო მინისტრი ასევე მედიის წარმომადგენლებს შეხვდება. დაგეგმილია ინტერვიუ "Washington Times"-ის ჟურნალისტ ჯეიმს მორისონთან.

გიორგი ბარამიძე საქართველოში 10 დეკემბერს დაბრუნდება.

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსაღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

institute for war and peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

# სომხეთი: აზრთა სხვადასხვაობა რეფერენდუმის შესახებ

*ერთნი მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის შესახებ გამართულმა რეფერენდუმმა წარმატებით ჩაიარა, მეორეთა აზრით კი, ყოველივე ეს სრული სიყალბე იყო.*

ჟანა ალექსანიანი, ერევანი

სომხეთის ოპოზიციურმა პარტიებმა კვირის ბოლოს გამართულ რეფერენდუმს, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას ეხებოდა, ბოიკოტი გამოუცხადეს. მათი დაჟინებული მტკიცებით, ხელისუფლება ტყუის, როდესაც აცხადებს, რომ ,,ხმის მისაცემად მისული ხალხი საკონსტიტუციო რეფორმას ერთსულოვნად უჭერდა მხარს".

ოფიციალური მონაცემებით, 27 ნოემბერს ხმის მისაცემად მისულთა რაოდენობა შთამბეჭდავი იყო – საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის უფლების მქონეთა 65 პროცენტი მივიდა. კონსტიტუციის გადახედვის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ ხუთმა პროცენტმა მისცა.

,,რეფერენდუმის შედეგები უდავოა", – განაცხადა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკური პარტიის წევრმა ტიგრან ტოროსიანმა.

ოპოზიციურმა პარტიებმა რეფერენდუმის ბოიკოტირებისთვის ძალები გააერთიანეს. თუმცა საარჩევნო უბნებზე საკუთარი დამკვირვებლები მაინც მიავლინეს. ბიულეტენების დათვლის შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ხმის მისაცემად ამომრჩეველთა მხოლოდ 20 პროცენტი მივიდა.

,,საარჩევნო უბნები ასეთი ცარიელი არასდროს ყოფილა. დღემდე ხალხს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ შედეგები ყალბდება", – განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერმა ვაზგენ მანუკიანმა პრესკონფერენციაზე.

,,რეფერენდუმი ძალისა და მუქარის გამოყენებით გამართეს. გაყალბების ძირითადი ფორმა საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების მასობრივად ჩაყრა იყო", – განაცხადეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

გაერთიანებული ოპოზიციის ბოიკოტის საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი არტაკ ზეინალიანი ამბობს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც დამკვირვებლებს საარჩევნო უბნების დატოვებას დაშინების გზით აიძულებდნენ.

რეფერენდუმს მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო დამკვირვებელი დაესწრო. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ სომხეთში სულ 14 დამკვირვებელი გაგზავნა, რომლებმაც ხმის მიცემის პროცესი კრიტიკულად შეაფასეს. მათ აღნიშნეს, რომ რეფერენდუმის მონაწილეთა მაღალი მაჩვენებელი ეჭვს იწვევს.

საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება ნაკარნახები იყო ვალდებულებით, რომელიც სომხეთმა 2001 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აიღო.

თუმცა დამკვირვებელთა დასკვნაში ნათქვამია, რომ ,,საერთო ჯამში რეფერენდუმმა ხმის მისაცემად მისულთა თავისუფალი ნება ასახა". დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ,,რამდენიმე საარჩევნო უბანზე სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა, რაც უბნებზე გამოცხადების მაჩვენებლის შესახებ ოფიციალურ მონაცემებს ეჭვქვეშ აყენებს".

,,ერევანისა და რეგიონების საარჩევნო უბნების მნიშვნელოვან ნაწილში ხმის მიმცემთა უკიდურესად დაბალი აქტივობა საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ ციფრებთან შესაბამისობაში არ მოდის. გარდა ამისა, დამატებით სიებში ხელმოწერების გაყალბებისა და ყუთებში ყალბი ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევებიც აღინიშნა. საარჩევნო კანონმა, რომლის თანახმადაც ბიულეტენის შევსების შემდეგ შტამპი უნდა დაისვას, ხმის მიცემის პროცესის საიდუმლოების პრონციპის დარღვევა არაერთხელ გამოიწვია", – ნათქვამია ევროსაბჭოს დამკვირვებელთა დასკვნაში.

მსგავსი შეფასება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის საქმეთა ბიურომაც.

,,ჩვენ ვიზიარებთ ევროსაბჭოს შეშფოთებას, რომლის დამკვირვებლებმაც რეფერენდუმში მონაწილეთა შესახებ სომხეთის მთავრობის მონაცემები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. აგრეთვე ვწუხვართ, რომ სომხეთის მთავრობამ ეუთო-ის ადამიანის უფლებათა სამსახურის დამკვირვებლები არ მიიწვია. მათ კენჭისყრის შედეგებისთვის მეტი ნდობის მინიჭება შეეძლოთ", – აღნიშნულია ბიუროს განცხადებაში.




ამ ქალბატონმა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას მხარი დაუჭირა

განცხადების დასკვნით ნაწილში აშშ სომხეთის მთავრობას ,,სერიოზული დარღვევებისა და გაყალბების შესახებ" არსებული ინფორმაციის გამოძიებას ურჩევს.

მთავრობა კი აცხადებს, რომ სერიოზული დარღვევები არ ყოფილა. ,,ჩვენ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან და აგრეთვე 2 ათასი ადგილობრივი საარჩევნო კომისიიდან კონკრეტული ინფორმაცია გვაქვს – მათ დღემდე საჩივარი არც ერთი დამკვირვებლისგან მიუღიათ", – განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში გარნიკ ისაგულიანმა.

ოპოზიციის აღშფოთება თავად პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმაც გამოიწვია, რომელმაც საკუთარი არჩევანი საჯაროდ გააკეთა. ,,თუ სურვილი ექნება, ნებისმიერს აქვს ასევე მოქცევის უფლება", – აღნიშნა მან.




ვაზგენ მანუკიანი მათენადარანის მოედანზე გამოსვლისას




ოპოზიციის მიტინგზე

,,პრეზიდენტმა კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი დაარღვია", – განაცხადა IWPR-თან საუბრისას საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტმა და არასამთავრობო ორგანიზაციის ,,დემოკრატია" ხელმძღვანელმა ვარდან პოღოსიანმა. მისივე თქმით, ,,არჩევანის საიდუმლო ადამიანის საარჩევნო უფლებაცაა და ვალდებულებაც".

ოპოზიციამ მთავრობის წინააღმდეგ ძალების მობილიზება სცადა – რეფერენდუმის შედეგების გაყალბებაში დაადანაშაულა და შედეგების გადახედვისკენ მოუწოდა.

როდესაც ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა, ოპოზიციამ ხალხს 29 ნოემბერს ერევანში, მათენადარანის მოედანზე დემონსტრაცია გამართა. ამჯერად მოთხოვნები გაცილებით ამბიციური იყო. ოპოზიცია უკვე მისივე შეფასებით ,,უკანონო მთავრობის" გადადგომას ითხოვდა.

ხელისუფლება პროტესტის ჩახშობას შეეცადა. ოპოზიციამ 27-29 ნოემბერს დემონსტრაციის გამართვაზე ნებართვა წინასწარ აიღო, თუმცა ერევნის მერიამ საკუთარი გადაწყვეტილება გააუქმა; მილიციის მანქანები კი მთელ ქალაქში დადიოდნენ და ხალხს მიტინგში მონაწილეობაზე უარის თქმისკენ მოუწოდებდნენ.

მთავრობამ უფრო პრაქტიკული ზომებიც მიიღო. მოედანს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა, რითაც ოპოზიციას ხალხისთვის ხმის გამაძლიერებლებით მიმართვის საშუალება მოუსპო.

ოპოზიციის მონაცემებით, მიტინგში 10 ათასი ადამიანი მონაწილეობდა; ხელისუფლების მტკიცებით კი მომიტინგეთა რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო.

დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმომხილველის ალექსანდრე ისკანდარიანის თქმით, ,,ოპოზიციას კონსტიტუციაში ცვლილებების წინააღმდეგ კენჭისყრაზე აქცენტი რომ უფრო აქტიურად გაეკეთებინა, დღეს მის მიმართ გაცილებით მეტი ნდობით იქნებოდნენ განწყობილი".

,,ოპოზიცია უნდა გაერთიანებულიყო და ლიდერი აერჩია; უნდა განესაზღვრა ყველაზე მთავარი მიზეზი, რომლის გამოც კონსტიტუციაში შესწორებების წინააღმდეგ ხმის მიცემა არასასურველი იყო და მხოლოდ ამის შემდეგ წამოეწყო სახალხო კამპანია. ოპოზიციას შესწორებების წინააღმდეგ ხმათა 70%-ის დაგროვება შეეძლო, ასეთ შემთხვევაში კი კონსტიტუციას ვერ მიიღებდნენ", – თქვა ისკანდარიანმა.

,,ოპოზიციას სერიოზული კონკურენციის გაწევა შეეძლოთ, მაგრამ დღევანდელი ოპოზიცია, სამწუხაროდ, უუნაროა", – დასძინა მან.

ისკანდარიანი არც მთავრობის ქმედებებს იწონებს. მისი აზრით, რეფერენდუმის შედეგები ,,მნიშვნელოვნად გაყალბდა".

,,ამ მთავრობას ოპოზიცია არ ჰყავს. მან იცის, რომ ევროპა ბევრ რამეზე თვალს დახუჭავს, ოპოზიცია კი აბსოლუტურად ყველაფრის უფლებას აძლევს. რეფერენდუმის შემდეგ კლასიკური სომხური სიტუაცია შეიქმნა – დაპირისპირება სუსტ ოპოზიციასა და სუსტ მთავრობას შორის", – აღნიშნა პოლიტოლოგმა.

ამ მოსაზრების ილუსტრირებისთვის ისკანდარიანმა შემდეგ ფაქტზე მიანიშნა – ერთი მხრივ, არსებობს ოპოზიცია ,,რომელიც ამტკიცებს, რომ მოსახლეობის 90 პროცენტმა რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ ქუჩაში 3 ათას კაცზე მეტის გამოყვანა არ შეუძლია. მეორე მხრივ კი, არის ხელისუფლება, რომლის მცდელობა, ჩაახშოს სახალხო პროტესტი, ,,ძლიერის შთაბეჭდილებას მხოლოდ ზედაპირულად ტოვებს". სინამდვილეში ასეთი ქმედება სისუსტის მაჩვენებელია", – აღნიშნა მან.

რაც შეეხება ოპოზიციის სურვილს საქართველოს, ყირგიზეთისა და უკრაინის სახალხო რევოლუციების სომხეთში ,,გადმოტანის" შესახებ, ისკანდარიანის აზრით, ,,რასაკვირველია, აქ არანაირი რევოლუცია არ მოხდება".

**ჰაკობ ბერბერიანის ფოტოები**

# ჩეჩნეთში ამომრჩეველთა მაღალ აქტიურობას ეჭვქვეშ აყენებენ

*ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ჩეჩნეთში საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდნენ, მიანიშნებენ, რომ ბევრ ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.*

უმალტ დუდაევი, გროზნო

ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, გასული კვირას გამართულმა არჩევნებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. დამოუკიდებელი დამკვირვებლები კი აღნიშნავენ, რომ მათ საარჩევნო უბნებზე დიდი რაოდენობით ამომრჩეველი სულაც არ შეუნიშნავთ.

ჩეჩნეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგების მიხედვით, 27 ნოემბრის არჩევნებში როგორც მოსალოდნელი იყო, პარტიამ ,,ერთიანი რუსეთი" იოლად გაიმარჯვა. მან ხმათა 62 პროცენტი მიიღო.

,,ერთიანი რუსეთი" რუსეთის მასშტაბით გავლენიანი პარტიაა. ჩეჩნეთის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში რეგისტრირებული 354 კანდიდატიდან 49 მის მიერ იყო წარდგენილი.

ადგილობრივი კანდიდატები, რომლებიც კენჭს რუსეთის კომუნისტური პარტიის სიით იყრიდნენ, ხმათა 12 პროცენტით მეორე ადგილზე გავიდნენ. შემდეგი ლიბერალური პარტია ,,მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" იყო, რომელმაც ხმათა 11 პროცენტი დააგროვა.

დანარჩენმა პარტიებმა ჩეჩნეთის 58 წევრიან პარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად დაწესებული ხუთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არჩევნებმა მშვიდობიან ვითარებაში, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა. მათი განცხადებით, არჩევნების ჩატარებულად ცნობისათვის აუცილებელი ამომრჩეველთა მინიმალური აქტივობა (597 ათასი რეგისტრირებული ამომრჩევლის 25 პროცენტი) უკვე შუადღეს დაფიქსირდა.

,,დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თანამემამულენი ხმის მისაცემად გამოვლენ. პროცენტებზე საუბარი არ მსურს, მაგრამ როგორც მარწმუნებენ, ამომრჩეველთა გამოცხადების მაჩვენებელი 70 პროცენტი მაინც იქნება", – დამაჯერებლად განაცხადა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა არჩევნების დღეს, დილით.

ოფიციალური შედეგების მიხედვით ამომრჩეველთა აქტივობა 60 პროცენტს აღემატებოდა.

ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები და სხვა დამკვირვებლები არჩევნებში დიდი რაოდენობით ამომრჩევლის მონაწილეობის შესახებ განცხადებას ეჭვქვეშ აყენებენ.

,,არჩევნების დღეს, დილით პირადად მოვინახულე რამდენიმე საარჩევნო უბანი გროზნოს სტაროპრომისლოვსკის ოლქში", – განუცხადა IWPR-ს მოსკოვში დაფუძნებული ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ,,მემორიალის" წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. ,,ყველა უბანზე მოწყენილობისგან თავმობეზრებულ მილიციელებს ვხვდებოდი. ისინი საარჩევნო უბანში შესულთა პასპორტებს ამოწმებდნენ. ხმის მისაცემად კი ცოტა ხალხი მოდიოდა", – დასძინა მან.

,,მემორიალის" დამკვირვებელმა დაითვალა 40 ადამიანი, რომლებმაც სტაროპრომისლოვსკის ოლქში განთავსებულ ერთ-ერთ საარჩევნო უბანში არჩევნების დაწყებიდან ორი საათის შემდეგ – 10 საათისთვის მისცეს ხმა. მეორე უბანზე, მან მხოლოდ 20 ადამიანი დააფიქსირა, რომლებმაც ხმა დილის 10:20 საათზე მისცეს. თუმცა ეს სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც უბანთან ორი ავტობუსი მივიდა. მათ დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან 70 ლტოლვილი მიიყვანეს. ერთი საათის შემდეგ მესამე საარჩევნო უბანზე 2527 რეგისტრირებული ამომრჩევლიდან მხოლოდ 88 მათგანი იყო გამოცხადებული.

ამ და სხვა მსგავს შემთხვევებზე დაყრდნობით, ,,მემორიალმა" საერთო სურათი შექმნა და გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ,,ჩეჩნეთის დედაქალაქში ამომრჩეველთა აქტივობა წინა არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი იყო. დედაქალაქის მცხოვრებთა უმეტესობამ არჩევნების იგნორირება მოახდინა".

ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ ყურადღება ,,საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და პოლიტიკური პარტიების დამკვირვებლების მიერ მოწოდებულ ამომრჩეველთა აქტივობის ამსახველ მონაცემებს შორის აშკარა შეუსაბამობაზეც" გაამახვილა.

აქტივობის საეჭვო მონაცემების გარდა, ზოგიერთმა დამკვირვებელმა ამომრჩევლებზე ზეწოლისა და საარჩევნო პროცედურების დარღვევის სხვა ფაქტებიც დააფიქსირა.

ლიბერალურმა პარტიამ ,,იაბლოკო", რომელმაც ხმათა 3 პროცენტზე მეტი დააგროვა და საპარლამენტო მანდატების მოპოვება ვერ შეძლო, თავისი ამომრჩევლების დაშინების რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირა. პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, გროზნოს სტაროპრომისლოვსკის ოლქში ,,იაბლოკოს" მხარდამჭერებს უბნების დატოვება ურჩიეს, თუ ,,სახლში ცოცხლად დაბრუნება" სურდათ.

ამ არჩევნების კიდევ ერთი უცნაურობა ისიც იყო, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ჯგუფს 33 ათასი რუსი სამხედრო წარმოადგენდა, რომლებიც ამ არასტაბილურ რესპუბლიკაში არიან დისლოცირებული. ჯარისკაცები რეგისტრირებული ამომრჩევლების 5 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ და მათი მომსახურების მიზნით 19 საარჩევნო უბანი გაიხსნა.

შედეგად, მცირედ დასახლებული იტუმ-კალეს ოლქიდან, რომელიც რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, მთებში მდებარეობს, ჩეჩნეთის პარლამენტში რუსი სამხედრო მეთაური, პოლკოვნიკი ალექსანდრე რადვანი ხელახლა აირჩიეს.

გროზნოს 53 წლის მცხოვრებმა საერთო განწყობა გამოხატა, როცა აღნიშნა, რომ არჩევნები ხალხისთვის მნიშვნელოვან მოვლენას არ წარმოადგენს, რადგან შედეგი წინასწარვეა ცნობილი.

,,ამ არჩევნების, ისევე როგორც აქამდე მომხდარი ყველა მსგავსი მოვლენის აღწერა მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება – ეს არის ფარსი. ხალხი ასეთ მოვლენებს ლიად უწევს იგნორირებას. ისინი როგორც ადგილობრივი, ასევე ფედერალური ხელისუფლების გაუთავებელი ტყუილებითა და სიცრუით დიდი ხნის წინ დაიღალნენ", – აღნიშნა მან.

ამ მამაკაცის მტკიცებით, არჩევნებში მონაწილეობა არც თავად მიუღია და არც რომელიმე მის ნაცნობს. ,,არჩევნებში ჩვენი მინიმალური მონაწილეობა საბოლოო შედეგზე არავითარ გავლენას არ ახდენს... ჩვენი ხმები არაფერს ცვლის", – ამბობს იგი.

,,რომელი პარტია მოხვდებოდა პარლამენტში და რომელ კანდიდატს აირჩევდნენ ერთმანდატიანი ოლქებიდან, რამდენიმე თვის წინ გადაწყდა. ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ, რომ მემარჯვენე ძალთა გაერთიანება პარლამენტში მოხვდებოდა, ხოლო დუკვახა აბდურახმანოვი პარლამენტის სპიკერი გახდებოდა. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში სწორედ ასე მოხდება".

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ვლადიმერ არუთინიანი სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარს აცხადებს

*10 მაისს, თავისუფლების მოედანზე აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანს საქალაქო სასამართლოში გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში უკითხავდნენ საბრალდებო დასკვნას. ხალხმრავალ და ხმაურიან სასამართლო პროცესს თავად განსასჯელი პროტესტს უცხადებს, დანაშაულს არც აღიარებს, არც უარყოფს და აცხადებს, რომ მართლმსაჯულებას ჩვენებას მანამდე არ მისცემს, ვიდრე სასამართლო პროცესში ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ ჩაერთვებიან.*

"სასამართლო სახელმწიფოსგან ზეწოლას განიცდის," - ამ სიტყვებს განსასჯელი გუშინ სასამართლო გალიაში ბოლთის ცემით ხშირ-ხშირად იმეორებდა და საბრალდებო დასკვნას თუ მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებებს საკუთარ კომენტარებს ურთავდა.

თითქმის შვიდსაათიან სასამართლო პროცესზე გუშინ 14 დაზარალებული დაიკითხა. მათი ჩვენებები წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების იდენტური აღმოჩნდა. გუშინდელ პროცესზე დაკითხულთა შორის არუთინიანის დაკავების სპეცოპერაციის დღეს დაღუპული შს სამინისტროს თანამშრომლის ზურაბ ქვლივიძის დედა - ნანული ციცქიშვილი, შს სამინისტროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი დავით ნადიბაიძე (რომელმაც თავისუფლების მოედნიდან ხელყუმბარა გაიტანა) და არუთინიანის მეზობლები იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და უწყება გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს, რათა მათ პროცესზე წარმოადგინონ საკუთარი წარმომადგენლები. რაც შეეხება არუთინიანის მოთხოვნას, პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის თაობაზე, მოსამართლემ გუშინ განაცხადა, რომ მართლმსაჯულება ამ ორგანიზაციებს წარმომადგენლებს პროცესზე დასწრებას ვერ აიძულებს.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ არუთინიანს რიგით მეხუთე სახაზინო ადვოკატი იცავს. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელმა დაცვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, სახელმწიფო ბრალდების მოთხოვნით, სასამართლომ მას ახალი სახაზინო ადვოკატი იძულების წესით დაუნიშნა.


*არუთინიანს რიგით მეხუთე სახაზინო ადვოკატი იცავს.*

არუთინიანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის ათი მუხლით აქვს წაყენებული და მათგან ოთხი - სასჯელის უმაღლეს ზომას - უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. არუთინიანს ბრალი ედება ტერაქტში, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობაში, რამდენიმე ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, დამამძიმებელ გარემოებებში ადამიანების განზრახ მკვლელობაში, ცეცხლსასროლი, ასაფეთქებელი, მომწამლავი ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვა-გამოყენებაში, ქურდობაში, ოფიციალური დოკუმენტების გაყალბება-გატაცებასა და სხვა დანაშაულებში.

ვლადიმერ არუთინიანის სასამართლო პროცესი დღეს კვლავ საქმეში დაზარალებულებად ცნობილების დაკითხვით განახლდება. სავარაუდოდ, დაზარალებულები და მოწმეები, რომლებიც მომდევნო პროცესებზე დაიკითხებიან, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს გაიმეორებენ, ისევე როგორც ეს გუშინდელ სხდომაზე მოხდა.

*24 საათი*

## მოკლედ

### რუსი სამშვიდობოები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკრიტიკებენ

შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა ქართულ მხარეს პროვოკაციებსა და კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებს. რუსმა სამშვიდობოებმა ასეთი განცხადება ქართველი სამართალდამცველების მიერ ტრანსკავკასიური საავტომობილო გზის თამარაშენი-კეხვის მონაკვეთის გადაკეტვასთან დაკავშირებით გაავრცელეს. გარდა ამისა, ცხინვალი-თამარაშენის გზაზე "სამხრეთ ოსეთის" სანომრე ნიშნების მქონე ავტომანქანების მოძრაობა შეჩერებულია. რუსი სამშვიდობოები, ოსურ მხარესთან ერთად, ჩივიან, რომ ქალაქი ცხინვალი მაგისტრალური გზების გადაკეტვის შედეგად მოწყვეტილია გარესამყაროს. "გზების გადაკეტვა შერეული საკონტროლო კომისიის ყველა ადრინდელ ხელშეკრულებას არღვევს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებები კონფლიქტის ზონაში ვითარების ხელოვნურად დაძაბვისკენ არის მიმართული", - ნათქვამია შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის პრესსამსახურის განცხადებაში.

*მედიანიუსი*

### სენაკის ყოფილი გამგებელი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა სენაკის ყოფილი გამგებელი ანზორ ცაგურია დააკავეს. მას ბრალად ედება 1997-98 წლებში დევნილთათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხის არამიზნობრივი ხარჯვა. ანზორ ცაგურიასთან გუშინ მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედება - დაკითხვა. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აცხადებს, რომ გამოძიებისთვის სადავო თანხასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. "ის, რასაც საოლქო პროკურატურა მედავება - თანხების გადარიცხვა - ეხება არა მიზნობრივს, არამედ კონკრეტული ორგანიზაციისთვის განკუთვნილ თანხას, რომელიც ამ ორგანიზაციის ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო", - აცხადებს ცაგურია. დაკავებულს 6-დან 12-წლამდე პატიმრობა ემუქრება.

*ინტერპრესნიუსი*

### გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაზე თავდასხმები გრძელდება

გუშინ, გამთენიისას, გალის რაიონის სოფელ გაგიდაში მცხოვრებ რუბენ და გულიკო ხურციების ოჯახს თავს დაესხა ხუთი ნიღბიანი, შეიარაღებული პირი. მათ მამა-შვილი გულიკო და რუბენ ხურციები საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს, ხოლო მოგვიანებით ოჯახს გამოსასყიდის გადახდა მოსთხოვეს. ეს მოთხოვნა მათ ოჯახის წევრებს წერილობით შეატყობინეს.

ჯერჯერობით დაუდგენელია გატაცებულთა ადგილსამყოფელი. გამტაცებლები, სავარაუდოდ, ქართულ-აფხაზური კრიმინალური შერეული ჯგუფის წევრები არიან. გალის რაიონის გამგებლის, ბადრი ბულესკირიას განცხადებით, გამოსასყიდი თანხის ოდენობის თაობაზე ჯერჯერობით კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს. თუმცა, გაგიდაში მცხოვრები ქართველები ირწმუნებიან, რომ გაგიდაში მცხოვრებ ხურციების ოჯახს გამოსასყიდის სახით 100 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვეს. მამა-შვილ ხურციებს ოჯახში თხილის დამამზადებელი პუნქტი ჰქონდათ გახსნილი და შესაძლოა მათი გატაცება თხილის ბიზნესს უკავშირდებოდეს.

*ინტერპრესნიუსი*

### ფინანსური პოლიცია ერთდროულად ცხრამეტ ფირმას ამოწმებს

ფინანსურმა პოლიციამ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტზე ერთდროულად ცხრამეტი ფირმის შემოწმება დაიწყო.

ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველო ექვს ფირმას ამოწმებს. საგამოძიებო მოქმედებები შპს "დარიალში", შპს "მეველი-2-ში", შპს "ნიკაში", შპს "გრანტში", შპს "დედოფალში" მიმდინარეობს. გარდა ამისა, მოწმდება ინდმეწარმე "ნოდარ ბინიშვილი".

იგივე დარღვევასთან დაკავშირებით ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველო შვიდ ფირმაშია შესული: შპს "ხატია", შპს "გეიკო", შპს "იუკო", შპს "გზა", შპს "ამაზონები" და ინდმეწარმეები "გოჩა ბერეკაშვილი" და "ჯუმბერ ხურციძე".

ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველო კი სამ ფირმას - შპს "არქეორს", შპს "ბანას" და შპს "ორი ზაურის" ამოწმებს.

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლით დაიწყო, რაც "საბუღალტრო წიგნის წარმოიების წესის დარღვევას" გულისხმობს.

*ინტერპრესნიუსი*

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბება

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარება გუშინ უკიდურესად დაიძაბა. დაახლოებით ექვსი თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეების ახლობლებმა, ცხედრების დაბრუნების მოთხოვნით, სოფლებთან - ქურთასთან, კეხვთან და თამარაშენთან - გზები გადაკეტეს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ მთელი დღის განმავლობაში მოძრაობა პარალიზებული იყო. "გზა მანამდე არ გაიხსნება, სანამ არ მოხდება გატაცებულთა ცხედრების დაბრუნება," - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.*

როგორც ცნობილია, უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰამლეტ ხაჭაპურიძის ოჯახის წევრებმა ორი კვირის წინ "საზარელი გზავნილი" მიიღეს - სხეულის ნაწილები და ფეხსაცმელი. გატაცებულების ახლობლები აცხადებენ, რომ უკვე მეორე კვირაა, რაც მათ ცხედრების დაბრუნებაში საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვენ, თუმცა გარანტია მაინც არ არსებობს, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში, გატაცებულთა ცხედრებს ოჯახებს დაუბრუნებენ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, აქციის დაწყებისთანავე, რუსმა სამშვიდობოებმა ორ ადგილას - ცხინვალის გასასვლელში სოფელ თამარაშენთან და დიდი ლიახვის ხეობიდან ჯავის მიმართულებით, სოფელ ითრაფისთან გზა გადაკეტეს. სამშვიდობოების მტკიცებით, ამგვარ ღონისძიებას მათ მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების აცილების მიზნით მიმართეს.

**"სახელმწიფოს არ აქვს მორალური უფლება, წინ აღუდგეს ხაჭაპურიძეების ოჯახის მოქმედებას. ხაჭაპურიძეების ოჯახის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, არავინ იცის, მათ ადგილზე სხვა როგორ მოიქცეოდა. როდესაც შეკითხვებზე პასუხს ვერ იღებ, ბუნებრივია, თვითშემოქმედება იწყება. ხაჭაპურიძეების ოჯახი კი დიდი ხანია ცდილობს ჩვენგან დახმარების მიღებას, მაგრამ ჩვენ ვერანაირად ვერ ვეხმარებით,"** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

გუშინდელი აქციის მონაწილეები გატაცებულთა ადგილსამყოფელის დაუყოვნებლივ დადგენას ითხოვდნენ. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი აქციები პერმანენტულ ხასიასთს მიიღებს,"** - ასეთია გატაცებულების ახლობელთა მუქარა.

გაუჩინარებულების ოჯახის წვერები კვლავ იმედოვნებენ, რომ მათ თხოვნას, როგორც ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, ისე საქართველოს მთავრობა გაიზიარებს და უგზო-უკვლოდ დაკარგულები ოჯახებს დაუბრუნდებიან.

ერთ-ერთი გატაცებულის ძმა ლევან ხაჭაპურიძე გუშინ გატაცების ორგანიზატორთა გვარებსაც ასახელებდა. ის გატაცებასა და მკვლელობაში ოსური ბანდფორმირებების წევრებს რუდი (ლულუ) გუჩმაზოვს, რობერტ კოჩიევს, ვადიმ ჯიკაევს, ალიმ ბიტიევს და ანდრეი ზასეევს ადანაშაულებს. ლევან ხაჭაპურიძის ინფორმაციითვე, ხაჭაპურიძეებისა და მათთან ერთად გატაცებული ლომიძის საფლავები, სავარაუდოდ, დიდი ლიახვის ხეობის სოფელ კვერნეთის რაიონში უნდა იყოს, სადაც გატაცებიდან ცოტა ხანში, ჰამლეტ ხაჭაპურიძის კუთვნილი ავტომანქანა "ნივა" იპოვეს.

ლევან ხაჭაპურიძე ცხედრების დაბრუნებაში დახმარებას ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობას სთხოვს. როგორც ლევან ხაჭაპურიძე აცხადებს, აღარც ქართული და აღარც ოსური მხარის ძალოვნების იმედი არ აქვს, რადგან ოსურ შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებმაც ხაჭაპურიძეები და ლომიძე გაიტაცეს, ვერც ოსი და ვერც ქართველი ძალოვნები აკონტროლებენ.

ჩვენი ინფორმაციით, ცხინვალი-ჯავის საავტომობილო მაგისტრალზე ხაჭაპურიძეების ოჯახის წევრებისა და ნათესავების მიერ გუშინ დაწყებული აქცია დღესაც გრძელდება.

აქციის მონაწილეთა განცხადებებით, შურისძიების მიზნით, ოსი ეროვნების მოქალაქეების გატაცებას ისინი არ გეგმავენ.

*24 საათი*

# დღეს მოსამართლეებს ვერდიქტს გამოუტანენ

პირველი გვერდიდან

თუმცა, საკითხის განხილვა გუშინაც გადაიდო. ამის მიზეზი ინტერესთა კონფლიქტი გახდა. საქმე ისაა, რომ იუსტიციის საბჭოს კოლეგიის სხდომის ბრალმდებელი დეპუტატი ნიკა გვარამია გახლდათ, ხოლო არბიტრი დეპუტატი ნინო კალანდაძე.

მოსამართლეების მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე შეკრებილი იყვნენ სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები, რომლებიც გმობდნენ მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებს და სამოქალაქო საზოგადოებას ამ პროცესებთან დაკავშირებით გააქტიურებისკენ მოუწოდებდნენ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 18 მოსამართლის დისციპლინარული დევნის საკითხის განხილვა გუშინ, საღამოს ექვს საათზე დაიწყო და რამდენიმე საათს გაგრძელდა. მოსამართლეებს ბრალი პროცესუალურ დარღვევებში ედებოდათ. მოსამართლეთა შორის იყო სასამართლო სისტემის სამი სახე - მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე და დავით სულაქველიძე, რომლებიც ღიად აცხადებდნენ, რომ სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

რამდენიმე საათიანი ლოდინის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინარული კოლეგიის სხდომა გადაიდო. საქმე ისაა, რომ მოსამართლეთა ადვოკატებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის წევრის, არბიტრ ნინო კალანდაძის აცილების საკითხი დააყენეს. მოსამართლეთა ერთ-ერთი ადვოკატის, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლის ანა დოლიძის განცხადებით, კოლეგიის წევრი ნინო კალანდაძე ინტერესთა კონფლიქტშია მთავარ ბრალმდებელთან ნიკა გვარამიასთან. **"ვინაიდან ორივე დეპუტატია, ერთი კომიტეტის წევრები, ერთი პოლიტიკური გუნდის წევრები. არ შეიძლება ბრალმდებელიც და კოლეგიის წევრიც ერთი გუნდის წევრი იყოს,"** - განაცხადა ანა დოლიძემ.

40-წუთიანი განხილვის შემდეგ მოსამართლეთა ადვოკატების მოთხოვნა კოლეგიამ დააკმაყოფილა და პარლამენტარ ნინო კალანდაძეს აცილება მისცა.

"რესპუბლიკური" პარტიის წევრმა, იურისტმა თინა ხიდაშელმა გუშინდელ პროცესს ანტიკონსტიტუციური უწოდა. როგორც თინა ხიდაშელი აცხადებს, იუსტიციის საბჭოს არა აქვს ისეთი უფლებამოსილება, რომ მან სასამართლო გადაწყვეტილებების რევიზია განახორციელოს. **"ეს ანტიკონსტიტუციურია, მით უმეტეს, რომ სასამართლო რევიზიით დაკავებულები არიან ხელისუფლების წარმომადგენლები ნიკა გვარამია და ნინო კალანდაძე,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღევანდელ კოლეგიაზე გადაწყდება, დაარღვია თუ არა კანონი 18-მა მოსამართლემ. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" კი ნებისმიერ მოქალაქეს მოსამართლეების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს, რათა შენარჩუნდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის სხდომის შესახებ კომენტარი გააკეთეს და აქციაშიც მონაწილეობდნენ "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები. "დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ კოლეგიის სხდომას "ცინიკური" უწოდა. **"დღევანდელი კოლეგიის სხდომა ცინიკურია, რადგან ამ კოლეგიაში მთავარი ბრალმდებელი ნიკა გვარამიაა, ხოლო არბიტრი კი ნინო კალანდაძე. ეს არის სრული ცინიზმი და მარაზმი,"** - განაცხადა კახა კუკავამ. გუშინდელ სხდომასთან დაკავშირებით კომენტარი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გააკეთეს. საქართველოს იუსტიციის მინისტრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, კოტე კემულარია დარწმუნებულია, რომ სადისციპლინო საბჭო მოსამართლეთა მიმართ აღძრული დისციპლინური დევნის საკითხის გადაწყვეტისას ობიექტური იქნება.

**"დარწმუნებული ვარ, სადისციპლინო საბჭოს წევრები ობიექტურები იქნებიან. მე მათ მოვუწოდებ, დიდი ყურადღება გამოიჩინონ გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან ეს დოკუმენტი ქართველი თუ საერთაშორისო ექსპერტების განხილვის საგანი გახდება,"** - განაცხადა კოტე კემულარიამ.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**....................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**....................

**საკონტაქტო ტელეფონი**....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვაგზალი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური [illegible];
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible] (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, [illegible]

PSP ფარმა
გვეკითხებით? გიპასუხებთ!
რატომ არ გააჩნია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?
პსპ-ს საინფორმაციო სამსახური

დაამარცხე ხველა კედელიქსთან ერთად!
კედელიქსი – მთელი ოჯახისათვის!
კედელიქსი®
ბუნებისაგან თქვენ რჩევა, კედელიქსი და – არანაირი ხველა!

Kreussel Meuselbach
PSP ჩვენი ოჯახის აფთიაქი



დავით კოვზირიძის სვეტი

# ტაქტიკური მენეჯმენტის პოლიტიკური ფსიქოლოგია

ეშველათ მადრიდისტებს და ეგააო, თამამად ვერ იტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ პიჟონი ვანდერლეი "რეალში" აღარ მუშაობს - ასევე პიჟონმა ფლორენტინომ გაუშვა სახლში. ახლა დანარჩენ პიჟონებს ვიღაც გრძელსახელიანი ესპანელი გაწვრთნის, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ ამ კაცმა რაიმეს მიაღწიოს იქ, სადაც ფეხბურთი, როგორც წმინდაწყლის სპორტის სახეობა, მეორე პლანზეა. სააგენტოებმა თქვეს, აქამდე მეორე მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო სეზონის ბოლომდე იმუშავებს ახალ თანამდებობაზეო, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ "რეალი" ამ სეზონს ჩააგდებს.

რა ჩემი საქმეა, მაგრამ მადრიდელებს ვურჩევ, ის იტალიელი კაცი რომ ჰყავთ კაბინეტში გამოკეტილი, გამოუშვან და მას ჩააბარონ გაზულუქებული პიარ-ბრბო. არიგო საკია, ბოლო-ბოლო.

ამ პროფილის ადამიანზე ბაასი დღეს საქართველოშიც მოდაშია და ეს მოდა უკვე ისეთივე ტრადიციულია, როგორც ძალით არატრადიციული ბიჭები და ვითომ ბოზი გოგოები. რას იზამ, მოდაშია ის, რაც უცხო და იშვიათია.

იმ დღეს ერთ-ერთი ასეთი დიალოგის მომსწრე გავხდი და ჩემდა გასაკვირად გავიგე, რომ მწვრთნელს ლიცენზია არაფერში სჭირდება იმიტომ, რომ ის ფეოლას არ ჰქონია. ადამიანს რომ ასეთი აზრი მოგივა თავში, ამას ერთადერთი მიზეზი აქვს - ფეხბურთის უცოდინარობა. ძალიან სამწუხარო რეალობაა და სანამ არ ვაღიარებთ, რომ საფეხბურთო განათლება ქვეყანაში საოცრად დაბალ დონეზეა, მანამდე არასწორად ვიმსჯელებთ და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

ვინ არის დღეს 21-ე საუკუნის მეხუთე წელიწადს მწვრთნელი და რა არის საჭირო იმისთვის, რომ იყო კარგი სპეციალისტი?

ადრე, ფეოლამდე და ფეოლას პერიოდში, როცა ფეხბურთი ჯერ კიდევ არ წერდა ამხელა ფულს და იყო ჩვეულებრივი თამაში, გართობა, შეჯიბრი, საკმარისი გახლდათ მიზერული ცოდნა. უფრო სწორად, მხოლოდ წვრთნის პროცესის უნარიანად მართვა და თუნდაც თანდაყოლილი ტაქტიკური განათლება. მაშინ არ იყო ამხელა მასშტაბები და კონკურენცია, ფეხბურთი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში იყო ის, რაც დღეს ყველგანაა, დედამიწის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში.

მერე და მერე ფიფას პოლიტიკამ ცხადყო, რომ ბურთის მადევარი ბიჭებით უზარმაზარი ფინანსური მოგების ნახვა შეიძლება და ფეხბურთი ჰარმონიულად გადაიქცა მეცნიერებად, ბიზნესად, სინდიკატად, პოლიტიკურ იარაღად და ასე შემდეგ. რეაქტიული სისწრაფით გაიზარდა მისი გეოგრაფია და შემცირდა, ბოლოს კი სულ გაქრა თვითნასწავლი მწვრთნელების კასტა. ბოლო არაპროფესიონალი, ვინც სახელი გაითქვა, იყო ჟოაო სალდანია, ბრაზილიელი პუბლიცისტი, ფეხბურთზე მწერალი კაცი, რომელმაც 1970 წლის ლეგენდარული ნაკრები შექმნა და აპრიორი მოგებულ მსოფლიო ჩემპიონატამდე ცოტა ხნით ადრე გადაულოცა მარიო ზაგალოს.

ეგ იყო და ეგ - საფეხბურთო რომანტიკა დავიწყებას მიეცა და სასწორზე, ერთი მხრივ დაიდო დიდძალი მაყუთი თავისი პრესტიჟიანად და მეორე მხრივ - ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფს ფულის საჭრელი მანქანის გამართულ მუშაობას. ანუ - ვიწროპროფილიანი მწვრთნელის ტრანსფორმირების შედეგად მივიღეთ მენეჯერი და ინგლისშიც ხომ წლებია უკვე სათადარიგოთა სკამთან მონერვიულე ფენას სწორედ ამ სახელით მოიხსენიებენ.

კარგი ტაქტიკოსი, კარგი მმართველი, კარგი ფსიქოლოგი, კარგი მეცნიერი, კარგი სელექციონერი და ცბიერი პოლიტიკოსი - ეს ის თვისებებია, ურომლისოდაც დღეს, 21-ე ასწლეულის დებიუტში, მაღალი კლასის მწვრთნელი წარმოუდგენელია.

დააკვირდით დიდ თანამედროვე სპეციალისტებს და მათ საქმიანობას. მაგალითად, ჟოზე მურინიოს. მისი მოწაფეები არნახულ ხელფასს იღებენ, დაახლოებით 500-600 ათას დოლარს თვეში. ახლა ერთი წამით დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა რთულია ოცამდე მილიონერის ისე მართვა, რომ უკმაყოფილო არავინ დარჩეს და ყველამ მხოლოდ ის აკეთოს, რაც შენ გინდა, რომ აკეთოს. შეიძლება ლუშემბურგო ბრწყინვალე სტრატეგია, მაგრამ ფაქტია, რომ ის არც მმართველად ვარგა და არც ფსიქოლოგად. ეს კი იმ დონეზე, რომელზეც ბრაზილიელი მოღვაწეობდა, კატასტროფის ტოლფასია.

მურინიოს გარდა კიდევ რამდენიმე მწვრთნელი აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას: ფაბიო კაპელო, მარჩელო ლიპი და, ჰა-ჰა, ოტმარ ჰიცფელდი, გუს ჰიდინკი, რაფაელ ბენიტესი. პერსპექტივაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ფრენკ რაიკაარდზე, პოლ ლე გუენზე და რობერტო მანჩინიზე.

ყოველივედან გამომდინარე, დასკვნა ასეთი უნდა გავაკეთოთ: მწვრთნელობა არის პროფესია, რომელშიც მხოლოდ ძალიან ნიჭიერი, მშრომელი და უნივერსალური ადამიანი მიაღწევს რაღაც საფეხურს. რასაკვირველია, კარგ ქოუჩს გამართლებაც ჯიბეში უნდა ედოს და ცოლიც ჭკვიანი უნდა ჰყავდეს. სრული სერიოზულობით ვამბობ - ფეხბურთში მომუშავე კაცისთვის გვერდით მყოფი ქალი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც კონტრშეტევაზე სწრაფად გადასვლის ცოდნა, ზედგამოჭრილი ფეხბურთელის ყიდვა და თამაშის წინ საჭირო ემოციური ფონის შექმნის უნარი.

რთული პროფესიაა, არა?

*მომავალ სამშაბათამდე*

# სპორტი გზად და ხიდად



*კოფი ანანის ვიდეო მისალმება ადოლფ ოგიმ გვამცნო.*

ბიბა ბურასაშვილი
*მაგლინგენიდან, შვეიცარია*

ვიდრე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების ბრახა-ბრუხს შევუდგებოდე, წერილს სალაღობო შესავალს დავურთავ. ასე რომ, ჯერ პირველი შთაბეჭდილებით ვიწყებ, რომელიც შვეიცარიაში ჩამოსვლისთანავე ჩამომიყალიბდა.

ის იყო, ციურიხიდან ბიენში ჩამოვედი ანუ იქ, სადაც კონფერენციის "სპორტი და მისი განვითარება" 69 ქვეყნის 400-მდე მონაწილეს სპორტის სამომავლო გეგმები უნდა დაგვესახა, რომ ამერიკელი რეპერის სნუპი დოგი დოგის ორეული გამომეცხადა და მორიდებით ფრანგულად რაღაც მითხრა. რომ არა საერთაშორისო სიტყვა - სიგარეტი, ვერაფერს მივხვდებოდი. ჩემი ფრანგული მხოლოდ სამი წინადადებით შემოიფარგლება: ბონ ჟუ, ტე ჟა მე და ბონ ვოიაჟ!

შვეიცარიაში მხარზე გადებული თხილამურებით მოსიარულე ადამიანი ისეთივე ჩვეულებრივი სურათია, როგორც ყანაში მიმავალი გურული გლეხი მხარზე გადებული თოხით.

კონფერენციის მასპინძელი მაგლინგენია, რომლის კორტოხზეც სასტუმროთა მთელი ინფრასტრუქტურა ყვავის. მაგლინგენი გადმოყურებს ადმინისტრაციულ ცენტრს ბიენს, რომლის მოსახლეობაც სულ რაღაც 50 ათასი ადამიანია. პატარა და კოხტა ქალაქია, მაგრამ ეგაა, იმდენად მშვიდი, რომ ცოტა არ იყოს მოსაწყენი. საღამოს 5 საათისთვის ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ევაკუაცია გამოეცხადებინოთ. ქალაქი ერთთავად ცარიელდება.

ახლა კი იმაზე, თუ რატომ ვართ აქ. მიზეზი და უმთავრესი ამოცანა სპორტი და მისი განვითარების პერსპექტივებია. კონფერენცია სახელწოდებით "განვითარება სპორტის მეშვეობით: ახალი საფეხურებისკენ" (DEVELOPMENT THROUGH SPORT: MOVING TO NEXT STAGE) წარმომადგენლობითია და არაერთი ბობოლა ესწრება, რაც კონფერენციის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ესეც სახელები: შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი სამუელ შმიტი, შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად კი გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩეველი "სპორტი მშვიდობის სამსახურში" ადოლფ ოგი, ჩოგბურთის ყოფილი მეგა ვარსკვლავი "დიდი სლემის" ტურნირების გამარჯვებული გერმანელი ბორის ბეკერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი და 11 მსოფლიო რეკორდის გამცამტვერებელი ციგურებით რბოლაში ნორვეგიელი იოჰან ოლაფ კოსი, პირველი მუსულმანი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი მაროკოელი მორბენალი ნავალ ელ მუტავაკელი, რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურისა და სპორტის მინისტრი, ოდესღაც დიდი ჰოკეისტი ვიაჩესლავ ფეტისოვი და... გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, ოღონდ დაუსწრებლად. საქმე ისაა, რომ კოფი ანანმა კონფერენციის მონაწილეებს ვიდეომისალმება გამოგვიგზავნა, რომელსაც ქვემოთ ამონარიდის სახით შემოგთავაზებთ, მანამდე კი ქვეყნის პირველი პირით, სამუელ შმიტით დავიწყოთ, რომელიც სწორედ იმის თქმაში დამეხმარება, თუ რა მნიშვნელობისაა ეს კონფერენცია. და კიდევ, მიზეზი იმისა, თუ რატომ ტარდება წლეულს აღნიშნული კონფერენცია. საქმე ისაა, რომ 2003 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 2005 წელი გამოცხადდა "ფიზიკური განათლებისა და სპორტის საერთაშორისო წლად (IYSPE)"!

"თითქმის სამი წლის წინათ ბევრი თქვენგანი მაგლინგენში შეიკრიბა. ჩვენი შეკრების მიზანი იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია "სპორტი და განვითარება". ვიმსჯელეთ და შევთანხმდით, რომ სპორტს უდიდესი როლი აკისრია მშვიდობისთვის. შემოგვთავაზეთ ფაქტები და იდეები და დაგვანახეთ მომავლის რწმენა. ბოლოს კი ხელი მოაწერეთ "მაგლინგენის დეკლარაციას", რომელიც წლების განმავლობაში იქნება სახელმძღვანელო სპორტის განვითარების საკითხებში.

ახლა თქვენ კვლავ აქ ხართ. მოგეცათ საშუალება, ერთმანეთს გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება და შეუდგეთ მომავლის გაშალაშინებას.

მაგლინგენის პირველი კონფერენციის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. სპორტისა და ფიზიკური განათლების იდეა მაშინ იდგამდა ფეხს, დღეს კი ეს ყოველივე რეალობად იქცა.

სპორტი ჩვენი საზოგადოების ნაწილია. სპორტი ეხმარება ინდივიდუალს გახდეს საზოგადოების ნაწილი და ითანამშრომლოს საზოგადოებასთან.

წლის მიწურულს თქვენ კვლავ აქ ხართ მაგლინგენის მეორე კონფერენციაზე. მჯერა, სპორტს ახალ სიმაღლეზე აიყვანთ".

და მაინც, რას ემსახურება მაგლინგენის კონფერენცია. ყოველ შემთხვევაში, მიზანი ასეთი აქვთ: თავი მოუყარონ იმ ადამიანებს, ვისაც სპორტთან აქვს კავშირი, ვისაც მისი განვითარებისთვის საკუთარი მოსაზრებები აქვს. კონკრეტული მიზნები კი ასე გამოიყურება:

საკუთარ გამოცდილებათა თუ ცოდნის, მიზნების, პროგრამების, პროექტებისა და ინიციატივების გაზიარება; სპორტის სამომავლო გეგმათა სამუშაო ჩარჩოს ჩამოყალიბება; განისაზღვროს საჭირბოროტო საკითხთა ნუსხა; სპორტი, როგორც ასეთი გამოყენებული იყოს საურთიერთობო იარაღად; ჩამოყალიბდეს თანამშრომლობის ახალი ფორმები; განისაზღვროს საერთო პოლიტიკა...

ერთი სიტყვით, მიზნები და ამოცანები მრავლადაა, უმთავრესი კი სპორტისადმი სიყვარულია, რასაც თითოეული გამომსვლელი უსვამს ხაზს.

"მსოფლიოს ყველა კუთხეში უყვართ სპორტი. მისი ღირებულებები უნივერსალურია. სპორტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ჯანმრთელობის, განათლების, განვითარებისა და მშვიდობისთვის. სპორტი ჩვენი ცხოვრების აუცილებელი ნაწილია, - ვიტყობთ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ვიდეომისალმებით, - სწორედ ამიტომაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სამუშაო სახელმძღვანელოდ მშვიდობის ჩამოყალიბების საქმეში და ათასწლეულის მიზნების განსახორციელებლად სპორტს მიმართავს".

P.S. ის იყო წერტილის დასმას ვაპირებდი, რომ ვიაჩესლავ ფეტისოვმა საქართველო ახსენა. ვეცდები ის ვთქვა, რაც მისი სიტყვიდან დამამახსოვრდა: "საქართველო და ბალტიისპირეთის ქვეყნები, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, წლეულს მოსკოვში დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობდა. მართალია, ჩვენ დღეს ერთად არ ვართ, მაგრამ სპორტს ვიყენებთ საურთიერთობო ენად".

მართლა ასე რომ იყოს, კარგი იქნებოდა.

**სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი აცხადებს კონკურსს სავაჭრო წარმომადგენლის შესარჩევად**

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:** კანდიდატს მოეთხოვება მოახდინოს კომპანია ალდაგის დაზღვევის პროდუქტების რეალიზაცია კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ვალდებულია დაიცვას კომპანიის იმიჯი და მომსახურების დამტკიცებული სტანდარტები იურიდიულ და კერძო პირებთან მუშაობისას.

**ანაზღაურება გამომუშავებით.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**:
- უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება 5-7 წლამდე, სასურველია გაყიდვების და/ან მარკეტინგის განხრით;
- სასურველია ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს.

შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ სპეციალური ტრენინგი სადაზღვევო კომპანია ალდაგში.

**განცხადების წარდგენის პირობები**: ავტობიოგრაფიული მონაცემები, 1 ფოტოსურათი და წერილი, სადაც თქვენს მიერ დასაბუთებული იქნება თქვენი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა სადაზღვევო აგენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
ელ-ფოსტა: HR@aldagi.com.ge
ან მისამართზე: მელიქიშვილის გამზ.16.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 16 დეკემბერი.**

OSCE

**ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენებაზე**

ეუთოს მისია საქართველოში იწვევს კვალიფიცირებულ კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად ტენდერში:

ავტო-სარემონტო სახელოსნოს მომსახურების გამოყენება

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გაგაჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერსებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები და გააგზავნონ შემდეგი ინფორმაცია:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი). 2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

ინგლისურ ენაზე, მისამართზე, Adolf.Turek@osce.org

ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 15 დეკემბერი, 13:00.



აქცენტი

# საზღვარი, საზღვარზე, საზღვრიდან

## კონფორმისტული ანდერგრაუნდი

სოფო კილასონია

საქართველოში გასაბჭოების შემდეგ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში, ადამიანებს მაშინდელი იდეოლოგიისთვის მსხვერპლი უნდა გაეღოთ. წითელი ტაბუსა და უროს სიმძიმეს ყველაზე მძაფრად ხელოვანები გრძნობდნენ. ხელოვნება საზღვრებს არ სცნობს, მის ფორმას ხან ემოცია, ხან გრძნობა და ყველაზე ხშირად იდეა ბადებს, ოღონდ ეს ყოველივე შემოქმედის, ინდივიდის საკუთრებაა და არა კოლექტივისა. ასეთი არტი მაშინ "დამანგრეველი" იყო, საბჭოთა მოქალაქეს სხვა სულიერი საკვები ესაჭიროებოდა. ამიტომ იდეოლოგიის მამებმა სხვა, "ნამდვილი და ჭეშმარიტი" ხელოვნება, სოცრეალისტური ხელოვნება შექმნეს. სოცარტი, რომელიც მზა სახვით ფორმას, თემატიკასა და მიდგომას სთავაზობდა ხელოვანთ, "თვითგამოხატვის" ერთადერთი საშუალება იყო. გარეგნული სიმშვიდის, ხშირად მორჩილებისა და უძრაობის მიუხედავად, სადღაც სიმყუდროვეში მაინც იქმნებოდა სხვა, ავტორისეული შემოქმედება და არა იდეოლოგიური შეკვეთა. დროდადრო კი ეს ორი თანადროული არტისტული რეალობა ერთმანეთს კვეთდა და ამ გზაჯვარედინზე, გახმაურებულ მოვლენასთან ერთად, საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებოდა ჯერ გვარები, შემდეგ არტისტული გაერთიანებები და ბოლოს უკვე თაობები.

80-იანი წლებიდან სამხატვრო აკადემიაში სტუდენტები საკუთარი სადიპლომო ნამუშევრებისთვის თემისა და სტილის არჩევანში შეზღუდულნი არ არიან. თანამედროვე ხელოვნებით გატაცებისთვის სასწავლებლის კედლებს აღარავის ატოვებინებენ. თუმცა, იყო დრო, როცა ერთი ვინმესთვის მიუღებელი ნახატისთვის ნიჭიერი ხელოვანის მომავალი ეჭვქვეშ დგებოდა.

დღეს ბევრს საუბრობენ: იყო თუ არა მაშინ ნონკონფორმიზმი. ზუსტი პასუხი ჯერ არ არსებობს. ერთი რამ ფაქტია: იყო სოცარტი და ყველაფერი დანარჩენი - ხაზგადასმული. 80-იანი წლების შემდეგ სიტუაცია ქართულ არტისტულ სამყაროში გადათამაშდა. ყველაფერი, რასაც ოდნავი სიწითლე შეჰპარვოდა, ნიველირებულ იქნა და დავიწყებას მიეცა.

განვლილი ხანა თაობებისთვის მათი ცხოვრებაა, დღევანდელი ახალგაზრდებისთვის - წარსული, ისტორია. გარდაქმნა ვითომ ეტაპობრივად მოხდა, თუმცა, ორ ეპოქას შორის უკვე დღევანდელი გადასახედიდან მაინც იკვეთება გარკვეული საზღვარი.

■ ■ ■

თბილისის საგამოფენო დარბაზებში უკვე არაერთი გამოფენა გაიმართა, რომელთა მთავარი თემა სოცრეალისტური ხელოვნების გაანალიზება, გადათვალიერება იქნებოდა. ნონკონფორმისტული, ანდერგრაუნდის თუ რეპრესირებული მხატვრობა და, საერთოდ, ხელოვნება - ამგვარად ფორმულირებული ცნებები დღეს აქტუალურია როგორც პრესის ფურცლებზე, ისე სამეცნიერო კვლევებში. ამ ორი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოსული უცხოელი მეცნიერები ჩვენს ახალგაზრდებს ჩვენსავე წარსულზე ამახვილებინებენ ყურადღებას. კონკრეტულად რას წარმოადგენდა ხელოვანი, საბჭოური იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მოქცეული, და რას ქმნის ის ახლა, პოსტსაბჭოურ სივრცეში. ბელადისა და კერპის ურთიერთობას საერთოდ თანამედროვე კრიტიკისა და ფენომენოლოგიის ძიებებში ხომ უსაზღვროდ დიდი ადგილი უჭირავს.

ხშირად გაგვიგონია, როგორ იხსენებდნენ ქართველი ჰიპები ტელეეკრანებზე საკუთარ არაკომპრომისულ ქმედებებს. თურმე ვიღაცას სადღაც რაღაც გაუკეთებია და ისინი ანუ სხვები ძალიან გაბრაზებულან. იდეოლოგია და ხელოვნება ის ორი ცნებაა, რომელთა გათამაშებით ინტერესიც და ეფექტიც გარანტირებული აქვს როგორც აქცია-ღონისძიებას, ისე ნებისმიერ სტატიასა და სიუჟეტს. ეს კარგად მესმის და გარკვეულწილად ამ ხერხს მივმართავ, თუმცა, ყოველგვარი სიღრმისეული აზრების გარეშე მებადება კითხვა: იყო კი ნონკონფორმისტული ხელოვნება საერთოდ ჩვენთან? რამდენად ჩანდა და აქტიურობდა ალტერნატიული აზრი და მიდგომა ხელოვნებაში თავის დროზე? ახლა გასაგებია, რომ კურატორები და ხელოვნებათმცოდნეები რაღაცას ვეძებთ. ხან ვპოულობთ, ხან ახლად შექმნილს ვამზეურებთ. მაგრამ მაინც რა ხდებოდა სოცრეალისტური არტის მიღმა და პარალელურად? იყო კი რამე სხვა სინამდვილეში, რომელსაც დაცვა და გადარჩენა რეალურად ესაჭიროებოდა? 80-იანი წლები გარდატეხასთან ასოცირდება. ამიტომ 80-იანელები ნამდვილად განებივრებული არიან ყურადღებით. ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად და დასახმარებლად სწორედ ერთ-ერთ მათგანს მივმართე. **"ჩვენ ვეკუთვნით იმ თაობას, როცა იდეოლოგიური წნეხი უკვე მოსუსტებული იყო, თუმცა, ის მაინც არსებობდა. ჩვენ საბჭოთა კავშირის პროვინცია ვიყავით და ისეთი საშინელი დაწოლა არ იყო, როგორც ეს ცენტრში ხდებოდა, ვთქვათ, მოსკოვში და უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში, მაგრამ ჩვენთანაც იყო და ეს ბუნებრივია."** 80-იანელთა თაობის ჩამოყალიბება გია ბუღაძესთან პირდაპირ არის დაკავშირებული. დღეს უკვე სამხატვრო აკადემიის რექტორი აკადემიაში სწავლის წლებს ყველაზე რთულ პერიოდად მიიჩნევს. ბუნებრივიცაა, რადგან სწორედ ამ უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებელში ყალიბდებოდა და იქმნებოდა ის იდეოლოგიური მანქანები, რომლებსაც იდეოლოგიური არტი და მისი მამები უნდა შეექმნა.

**"ტექნიკუმს მოჰყვებოდა აკადემია და ეს ყველაფერი ერთი მთლიანი და დიდი სტრუქტურა იყო: სკოლა, ნიკოლაძის ან თოიძის სასწავლებელი და აკადემია. ამათ ჰქონდათ გამამთლიანებელი ფაქტორები, რომლებითაც ისინი იკვებებოდნენ, მაგალითად, ფინანსური და, რაც მთავარია, იდეოლოგიური შეკვეთის სახით. ერთ მხარეს იყო ალტერნატიული გზა, მეორე მხარეს - ტრადიციული. ეს ორი გზა სულ წინააღმდეგობაში იყო. ერთი მათავისუფლებდა, მეორე სულ ჩარჩოებში მსვამდა. თუ ტექნიკუმში ბავშვი ვიყავი, აკადემიაში სიტუაცია შეიცვალა. ჩვენმა ერთ-ერთმა პედაგოგმა პირველივე კურსზე დამავალა დამეხატა ლენინი. ვერ დავხატავ-მეთქი, მაგრამ... ვიცი, რომ შეგიძლიაო. გრაფიკულად შევასრულე. ეს იყო ეპიზოდი, მაგრამ ხელოვნებაში კომპრომისი საერთოდ არ შეიძლება."**

ამ უკანასკნელი ლენინის შემდეგ ქრონოლოგიურად 80-იანელებისა და გია ბუღაძის თაობის ცხოვრებაში იოგა შემოდის. ბუდიზმითა და აღმოსავლური ფილოსოფიით გატაცება გაქცევის პირველი მცდელობა ყოფილა: **"მთელმა თაობამ შევწყვიტეთ ხორცის ჭამა, იოგაში ვვარჯიშობდით. ზოგმა სმას მოუკლო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი სულ ნარკომანიაში გადავიდა. მერე მოვხვდით ეკლესიაში. მე, სოსო წერეთელი, ზურა ჭავჭავაძე, თემურ ჩიხლაძე, მამა თეოდორე. ილია II-ს პირველი სტიქაროსნები ვიყავით. სხვა საკითხია, როგორ გვდევნიდნენ... მაშინ ზვიად გამსახურდია ახალი გამოსული იყო და ერთ-ერთ სვეტთან იდგა. უცნაური გარემო იყო. აქ უკვე შეიძლება თაობაზე საუბარი, თაობის ნიშნით საკითხების გამოკვეთა. თანდათან შინაგანად ყველამ თავისი ადგილი მონახა. მე მხატვრობისკენ შემოვტრიალდი, სხვები პოლიტიკური მოსაზრებებისკენ გადაიხარნენ, შეხება ჰქონდათ ბაპტისტურ წრეებთან. ამ გზით დისიდენტური ლიტერატურა შემოდიოდა. დაიწყო ანდეგრაუნდის განცდა: ჩვენ ვართ სამყარო, რომელიც არ არის იდეოლოგიზებული. პირადად მე მქონდა ამის განცდა. ოჯახიდანაც არ ვეკუთვნოდი არანაირ ელიტას, მაგრამ ის ხალხი, რომელიც პირადად მე იდეოლოგიურად მამარაგებდა ბუდისტური, აღმოსავლური თუ დისიდენტური ლიტერატურით, ძირითადად ელიტის შვილები იყვნენ - აკადემიკოსების ან ცეკას ინსტრუქტორების შვილები. ეს ის თაობა იყო, რომელიც პირველ ჰიპურ მოძრაობას განასახიერებდა ჩვენთან. ძალიან სასაცილო იყო. წარმოიდგინეთ, შავი "ვოლგით" როგორ მოიყვანდნენ ხოლმე დახეულჯინსებიან და გაუპარსავ ჰიპებს, როგორ მოაკითხავდნენ და წაიყვანდნენ აგარაკზე. პარადოქსია! მათვე ჰქონდათ შინაგანი პროტესტი და ფორმა, რომ ისინი ნონკონფორმისტები იყვნენ. რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება თამამი აზრია, მაგრამ ნამდვილად ვფიქრობ, რომ ასე იყო: ჩვენში არ ყოფილა ნონკონფორმისტული მოძრაობა. ხაზს ვუსმამ, რომ ეს იყო ერთგვარი კომპრომისული ანდეგრაუნდი. კი ბატონო, ოჯახებში იმართებოდა გამოფენები, ყველამ იცოდა, რომ ეს ხდებოდა, მაგრამ ჩვენთან არ ყოფილა ხაზგასმული ანდეგრაუნდი, როგორიც ჰქონდათ რუსებს, რომელიც ახასიათებს ჩეხურ ან პოლონურ ხელოვნებას."**

ეს იყო სრული გაურკვევლობა, რომელიც რეალობასთან მოდიოდა უნისონში, რაც საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა მაშინდელი ახალგაზრდობის ყოფისთვის. ზუსტად იგივე გამოიკვეთა მათ მხატვრობაშიც. მხატვრის პირველი სერიოზული განაცხადი მისი სადიპლომო ნამუშევარია და ისინი, ვინც ყველაზე მეტ ლიბერალიზმს იჩენდნენ ცხოვრებაში, საკუთარ ტილოებზე ისევ კოლმეურნეთა ზეიმსა და რთველს აცოცხლებდნენ: **"მე მხოლოდ ერთი არაკომპრომისული დიპლომი მახსოვს ჩემამდე - ეს იყო ირაკლი ფარჯიანის დიპლომი. მან დახატა თავისი ოჯახი, რომანტიკულ-ექსპრესიული გადახრით. ოთხი მამაკაცი, დიდი თავებით, ძალიან საყვარელი თავებით, და ძალიან საყვარელი ატრიბუტებით. ნამდვილი ფერწერა იყო. როცა ჩავაბარე, მან დაამთავრა. ჩემზე შვიდი წლით უფროსი იყო. მისი ნამუშევარი რომ ვნახე, გავოცდი. ჩვენთან კეთდებოდა ძირითადად აგრარული დიპლომები. საქართველო ითვლებოდა საბჭოთა კავშირის კურორტად. ამავე დროს იყო ღვინო და ხილი, იყო რთველი, პასტორალური სოფლის იდილია, ყანა, მეთევზეობა. ასევე მახსენდება ლევან ჭოღოშვილის "ალექსანდრე დიდი". ესეც განსხვავდებოდა სხვებისგან. ამიტომაც დაბალი შეფასება მიიღო. თვით ეძგვერაძეც კი, რომელიც მართლაც აღიარებული, ერთ-ერთი წარმატებული, თანამედროვე ფორმებში მომუშავე მხატვარია. მისი დიპლომი იყო რთველი ვენახში, კოლმეურნეების ზეიმი. ეს გადარჩენის სინდრომი იყო."**

**"შიში არსებობდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მათ, ვინც მოდიოდა ნომენკლატურული სისტემებიდან. მათ დასაკარგი ჰქონდათ პრივილეგიები. ასე ხდებოდა - მიდიოდნენ ერთგვარ შეთანხმებაზე, გარიგებაზე."**

**"ეს არის პატარა ერისთვის გადარჩენის ერთ-ერთი საუკეთესო ნიშანი. მაგრამ ამან გამოიწვია, ის რომ ჩვენ ვერ შევქმენით ქართული ანდერგრაუნდი, ვერ შევქმენით ნონკონფორმიზმი. კონფორმისტული იყო თავისი არსით ჩვენი "ანდერგრაუნდიც". მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს არასწორი სვლა იყო. განა ასე არ ვიყავით მთელი ცხოვრება ირანსა და თურქეთს შორის?.. სხვა შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად დავიღუპებოდით. ამიტომაა, რომ გაიხსნა ყველაფერი და საცავებში ბევრი არაფერი გვაქვს დამალული. ჩვენ არაფერი გვქონდა დასამალი. "დათა თუთაშხიაც" კი დაწერილი და გამოქვეყნებული იყო. მიუხედავად ამისა, ასეთ ნაწარმოებებს ხიბლი და მნიშვნელობა არც დღეს დაუკარგავთ. დავით კაკაბაძის შეთანხმებითი პეიზაჟები დღესაც ასეთივე მხატვრული დატვირთვისაა და კიდევ უფრო ძვირფასი, ვიდრე მაშინ იყო. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს უცნაური შემგუებლობის სინდრომთან. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს. მისი მეორე მხარეა ის, რომ ანდერგრაუნდი არ შექმნილა. კოლაბორაციონიზმი იყო ყველგან. რეალურად ჩვენ არ გვქონდა გამოკვეთილი ანდერგრაუნდი, მაგრამ გვქონდა გადარჩენის მცდელობა. გადარჩენით კი რაღაც ალბათ გადარჩა."**

■ ■ ■

კიდევ ერთხელ გადავიკითხე უკვე დაწერილი და ორ რამეს მივხვდი. პირველი იმას, რომ დასკვნა მჭირდება, მეორე კი იმას, რომ ჩემსავით მკითხველსაც გაუჩნდებოდა აზრი: მაინც რად გვინდა ამდენი საუბარი განვლილ ამბებზე, მაგრამ ფაქტია, რომ გვინდა. ილუზიებით აზროვნებამ მოგვიყვანა აქამდე. განსაკუთრებულობის შეგრძნებამ დაამსგავსა ჩვენი კულტურა და მისი ხელოვნება ფსევდოფასეულობებს, ერთ დიდ უშინაარსო, გაუგებარ, მაგრამ გადაპრანჭულ წარმოდგენად აქცია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვადევნებთ თვალს. ბოლოს და ბოლოს, არ შეგვეშინდეს და დავდგეთ საზღვარზე, გადმოვიხედოთ საზღვრიდან და დავინახოთ, რომ კეკლუცობის დრო აღარ არის. დედა სამშობლო გვეძახის!




---

FM ცხოვრება 98.0

# ეკა და ქალები

**გადაცემა ეთერშია ყოველდღე 20:00 სთ-ზე შაბათ-კვირის გარდა**

**ეკა კევსიტაძე:** "დიალოგების" დღევანდელი თემაა შრომის ახალი კოდექსი, ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, საფრთხეს უქმნის ქალთა უფლებებს. გადაცემის სტუმრები არიან ქალთა უფლებების დამცველები ლელა გაფრინდაშვილი, ნანა შპეტიშვილი და ნინო შიოშვილი. რას მოიცავს ის მუხლი, რომელიც პრაქტიკულად აკანონებს ქალთა დისკრიმინაციას შრომით ბაზარზე?

**ლელა გაფრინდაშვილი**: მუხლი ორსულობის, შვილის გაჩენასთან და გაზრდასთან დაკავშირებით, თავისთავად სეგრეგაციულია. რისკი ძალიან დიდია. ამ კანონის მიხედვით, ძალიან თვითნებური პირობებია ქალის სამუშაოზე აყვანის, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის მიმართების აღწერის დროს. გარდა ამისა, როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ ორსულობა, მშობიარობა თუ ბავშვის მოვლა შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ დამქირავებელმა დაითხოვოს სამუშაო ძალა, კონკრეტულ შემთხვევაში ქალი, ზრდის იმის რისკს, რომ ამ ქალებს აღარ მოუნდეთ შვილის გაჩენა. დარწმუნებული ვარ, დემოგრაფები გააკეთებენ კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დემოგრაფიული ფონი ისედაც დაბალია საქართველოში. ეს პრობლემა პირდაპირ უკავშირდება შრომით მიგრაციას. ე.ი. რაც არ უნდა მაღალპროფესიონალი იყოს ქალი თუ გოგონა, არ არსებობს დამქირავებლის ინტერესი, რომ ის აიყვანოს ამა თუ იმ სამსახურში.

**ეკა კევსიტაძე:** ეს პროექტი პარლამენტში გამოარჩიეს ხუთ ალტერნატიულ პროექტს შორის და ძნელი დასაჯერებელია, რომ ვერ შენიშნეს უდიდესი ხარვეზი, რომელიც ქალთა უფლებების ერთგვარ დისკრიმინაციას გულისხმობს.

**ნანა შპეტიშვილი:** ეს, რასაკვირველია, პირდაპირ გულისხმობს ქალთა უფლებების დარღვევას. ამ კოდექსით განსაზღვრული არ არის ქალთა შრომის ანაზღაურების საკითხი.

**ეკა კევსიტაძე**: რას ფიქრობდნენ ამ კანონის შემქმნელები, როდესაც პირდაპირ არის დარღვეული ქალთა უფლებები? როგორ ახსნით იმას, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი შინაარსის მუხლი შეიძლება ჩაიდოს კანონში?

**ნინო შიოშვილი:** მე ვესწრებოდი ამ განხილვას. პროექტის ერთ-ერთი ავტორი განმარტავდა, რომ უმუშევრობის პირობებში ეს კოდექსი ძალიან მორგებული და დინამიკურია. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, ძირითადი აქცენტი გაეკეთებინათ დამქირავებლის ინტერესებზე, რომელიც მათ მოუხსნიდა ერთ-ერთ პრობლემას, რასაც მუდმივი ანაზღაურება ჰქვია.

**ეკა კევსიტაძე**: ვწუხვარ, რომ, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, დღეს არავინ მობრძანდა სამინისტროდან. ბუნებრივია, აქ რომ იყოს ბატონი ვახტანგ მეგრელიშვილი, აუცილებლად ვკითხავდი, თუ რას ნიშნავს ის განცხადება, რომელიც მან გააკეთა 21-ე საუკუნეში. მან თქვა: "მეწარმე რომ ვყოფილიყავი, ახალგაზრდა ქალს სამუშაოზე არ მივიღებდი, რადგან ყველა ქალი პოტენციური დედაა." თქვენი კომენტარი ამ განცხადებაზე.

**ლელა გაფრინდაშვილი**: სამწუხაროდ, მან მხოლოდ პოტენციური დედობის პრობლემა კი არ იგულისხმა, არამედ ის, რასაც ქართველი მამაკაცების დიდი უმრავლესობა ფიქრობს, ანუ ის, რომ ქალი, პირველ ყოვლისა, არის დედა და მერე დანარჩენი ყველაფერი. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა დონის პროფესიონალთან ექნებათ საქმე, როგორი იქნება ამა თუ იმ ადამიანის მოტივაცია, შრომისუნარიანობა, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ის არის რეპროდუქციის საშუალება. ჩვენთან ვერაფრით ვერ ხვდებიან, არადა, არის ქვეყნები, სადაც მამაკაცები მიხვდნენ: იმისთვის, რომ ქალს ჰქონდეს რეპროდუქციის მოტივაცია, ის უნდა შედგეს, როგორც პიროვნება, უნდა ჰქონდეს პროფესიული მოტივაცია. ეს კანონი კი იბრძვის ქალებში როგორც პროფესიული მოტივაციის ჩაკვლისთვის, ისე რეპროდუქციული მოტივაციის წინააღმდეგ. ეს კანონი ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ უფლებებს, იგი დედობის აღქმის წინააღმდეგ არის მიმართული. როცა ყველა საერთაშორისო კონვენციაში ლაპარაკია იმაზე, რომ ქალს იგივე სასტარტო უფლებები და პირობები უნდა ჰქონდეს, რაც მამაკაცს, ჩვენთან ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ. ამ მოვლენის მიზეზები ბევრად შორს და ღრმად უნდა ვეძებოთ, და არა უბრალოდ შრომის კანონმდებლობის განვითარების არასწორ პროცესებში.

---


# ტ ე ნ დ ე რ ი

■ **"თი-ბი-სი ბანკი"**

■ **საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი"**

აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილების ქ. N37-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის ესკიზურ პროექტზე. *(ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობის რეკონსტუქცია ბიზნესცენტრად).*

**შენობის საერთო ფართი (სარდაფის ჩათვლით) - 2 570** მ²
**ტერასა: -** 298 მ²
**განაშენიანების ფართი: -** 1750 მ²
**სარდაფის ფართი:- ("თი ბი სი ბანკი" და საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი") -** 135 მ² *(გაფართოების პერსპექტივით)*

**შენობა:** ორსართულიანი, სარდაფის გაფართოების პერსპექტივით.

**საერთო საპროექტო დავალება:**

■ შენობის ფასადის რესტავრაცია
■ "თი-ბი-სი ბანკის" ფართის რემონტი პირველ სართულზე - 736 მ²
■ საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი" - ავეჯის სალონის ფართის რემონტი პირველ სართულზე - 460. 5 მ²
■ II სართულის ფართი - 1 028. 81 მ²
■ პირველ სართულზე საერთო სარგებლობის რეკრიაციული ფართის რეკონსტრუქცია *(210 მ²)*, რომელსაც გამანაწილებელი ფუნქცია ექნება *(აუცილებლად გათვალისწინებულ იქნას ადგილი - მისაღებსა და ცნობათა ბიუროსათვის)*
■ სარდაფის გაფართოვება 300 მ² *(აქედან ბანკის ნაწილი უნდა შეადგენდეს 150 მ²)*
■ ელექტრობა, ცენტრალური გათბობა, ვენტილაცია, დიზელ გენერატორი
■ ერთიანი ავტოსადგომი
■ ეზოს მოწყობა სულ - 440 მ²

**კონკრეტული საპროექტო დავალებანი:**

**"თი-ბი-სი ბანკი" -ს მოთხოვნები**

შენობის პირველ სართულზე კომპანიას სურვილი აქვს მოაწყოს რეგიონალური ფილიალი. სავარაუდო გეგმა მოცემულია *(დანართი N1 ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა)*. გეგმამ შესაძლებელია ტრანსფორმაცია განიცადოს, "თი ბი სი ბანკის" მოთხოვნების გათვალისწინებით. აუცილებელია ბანკისათვის სპეციალური ასპექტების დამატებითი დაზუსტება შემსრულებლის მიერ "თი ბი სი ბანკის" წარმომადგენელთან შეთანხმების საშუალებით. შიდა ინტერიერი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მარჯანიშვილის ფილიალში გამოყენებულ ინტერიერის კონცეფციას.

**საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არ" -ის მოთხოვნები**

შენობის პირველ სართულზე კომპანია მოაწყობს ავეჯის სალონს, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ორი შესასვლელი:
■ საერთო ჰოლიდან
■ შენობის ფასადიდან.

**კომპანიის კონკრეტული მოთხოვნები**
■ 3 სამუშაო ოთახი *(სამხარეო მენეჯერის, მაღაზიის მენეჯერის, კონსულტანტების)* - 70 მ² *(სულ)*
■ სამზარეულო 12 მ² და ერთი WC 3-4 მ²
■ დარჩენილი ფართობი გამოყენებულ იქნას გაყიდვების დარბაზად
■ მაქსიმალურ შესაძლებელ ფარგლებში მოხდეს კედლების გახსნა დიდი სივრცის მისაღებად
■ საწყობი *(სარდაფში)*

**შენობის II სართული**
■ **საოფისე ფართი.** ოფისების რაოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე, ანუ არსებული ფართი სასურველია ექვემდებარებოდეს ტრანსფორმირებას, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას, რომელიც ამ ფართს იქირავებს, თავად მოახდინოს შიდა დაგეგმარება. საერთო მისაღები
■ WC - მინიმუმ 2 დამოუკიდებელი ერთეული

**ესკიზური ნახაზების შემადგენლობა**
1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. გენ-გეგმა - მ. 1:5000
3. სარდაფის, I, II და III სართულების გეგმები - მ. 1:100
4. ჭრილები: ყველა კიბეზე - მ. 1:100 ან 1:50 და რამოდენიმე სახასიათო განივი და გრძივი.
5. ოთხივე ფასადი: - მ. 1:100 ან 1:50
6. პერსპექტიული ხედები *(ექსტერიერი)*: სასურველია კომპიუტერული დამუშავებით
7. განმარტებითი ბარათი
8. ინტერიერის ესკიზები - კომპიუტერული დამუშავებით
9. ელ. ქსელები, სუსტი დენები: - სქემა
10. ვენტილაცია: - სქემა
11. კანალიზაცია, წყალმომარაგება: - სქემა
12. გარე განათება (ფასადის განათება): - სქემა
13. დაცვის სისტემა: - სქემა
14. სალაროებისა და საცავის მოწყობა ბანკისათვის

**კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ:**
■ არსებული სიტუაციის ფოტომასალა ციფრულ ფორმატში,
■ ტოპოგრაფიული გეგმა
■ სიტუაციური გეგმა
■ გენგეგმა
■ შენობის I სართულის გეგმა *(ანაზომი)*
■ ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა *(დანართი N1)*
■ შენობის II სართულის გეგმა *(ანაზომი)*
■ მანსარდის გეგმა *(ანაზომი)*
■ სარდაფის გეგმა *(ანაზომი)*
■ ჭრილები *(ანაზომი)*
■ საკადასტრო რუკა
■ შ.პ.ს "აჭარსპეცპროექტის" მიერ შესრულებული ტოპოგეგმა და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

**ესკიზური პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს:**

1. **ალბომის სახით A 3 ფორმატზე**
2. **ვიზუალიზაცია 3D-ში (რენდერებით)**
3. **ნახაზები: Archi an Auto CAD-ში**

**ტენდერში გამარჯვებული დაჯილდოვდება:**
**I ადგილი - 10 000 ლარი**
**II ადგილი - 4 000 ლარი**
**III ადგილი - 2 000 ლარი**

სურვილის და შესაძლებლობის შემთხვევაში, გამარჯვებული ესკიზის ავტორი, ბოლომდე აიღებს პასუხისმგებლობას და სამი თვის განმავლობაში წარადგენს პროექტის სრულ პაკეტს, *(სრული პაკეტის ხარჯთაღრიცხვა, გადასახადების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 70 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, საპრემიო თანხის (10 000ლ) ჩათვლით).*

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ესკიზის ავტორს არ სურს, ან არ აქვს შესაძლებლობა, ან მის მიერ წარმოდგენილი სრული პაკეტის თახა აჭარბებს ზემოთ დასახელებულ *70 000 აშშ დოლარს*, კონკურსანტს გადაეცემა პრემია 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო ესკიზი დარჩება "აი-სი-არის" საკუთრებაში. კორპორაციას აქვს უფლება, ესკიზის განსახორციელებლად, მიმართოს ნებისმიერ სხვა ლიცენზირებულ საპროექტო ორგანიზაციას და ამასთან დაკავშირებით, გამარჯვებული კონკურსანტის მხრიდან პრეტენზიები არ განიხილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 25 დეკემბერი.
ესკიზური პროექტი ჩაბარების ბოლო ვადა 1 თებერვალს.
გამარჯვებული გამოვლინდება 15 თებერვალს.
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ, მისამართზე: ალ. ყაზბეგი N44, II სართული
სტუდია "ჩემი სახლი". **ტელ: 39 46 17. 39 20 99**
საკონტაქტო პირი: თამარ წულუკიძე

გისურვებთ წარმატებას






X700

## საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ელეგანტური დიზაინი და განსაკუთრებული ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც არის ყველაფერი საიმისოდ, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი ბიზნესის სამყაროში. ტელეფონი ნამდვილად წარმატებული ადამიანებისათვის. Samsung X 700. ადვილი წარმოსადგენია.

- 1,3 მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT ეკრანი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM რადიო • MP3/ASC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40 ტონური პოლიფონია
- bluetooth • EDGE

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

**ელიტ ელექტრონიქსი** - კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

**Elit Electronics** – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

**3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება**

**3 года бесплатного сервисного обслуживания.**

SAMSUNG
სამსუნგი